

გაბრიელ ტარდი – მიზაძვის თეორია სოციოლოგიაში

სოციოლოგია, როგორც ინტერმენტალური ფსიქოლოგია



1. გაბრიელ ტარდი: ფსიქოლოგიზმი სოციოლოგიაში
2. გაბრიელ დე ტარდი, იურისტი, ფსიქოლოგი და სოციოლოგი
3. რა არის საზოგადოება და რა ამოძრავებს მას?
4. არქეოლოგია და სტატისტიკა როგორც სოციოლოგიის მეთოდები.
5. სოციალურ კანონები: ლოგიკური და გარელოგიკური.
6. პუბლიკა და საზოგადოებრივი აზრი.
7. საზოგადოებრივი აზრი, თქმულება, კრებითი გონი და საუბარი.
8. დანაშაულის ფილოსოფია და კრიმინოლოგია.

საკვანძო სიტყვები და გამოთქმები: მიზაძვა, ავტორიტეტი, რწმენა, მიზაძვის კანონები, გამოგონება და აღმოჩენა, სოციალური კანონები, სოციალური ლოგიკა, საზოგადოებრივი აზრი და ჟურნალისტიკა, ბრბო და პუბლიკა, საუბარი და მიმოწერა, დანაშაულის ფილოსოფია და კრიმინოლოგია, ცივილიზაცია და დანაშაული. „დაგროვება და შეცვლა პროგრესის განხორციელების ორი ფორმაა“, „პუბლიკა – მომავლის სოციალური ჯგუფია“.

1. გაბრიელ ტარდი: ფსიქოლოგიზმი სოციოლოგიაში

მეცნიერებათა განვითარებაში არის პერიოდები, როდესაც ესა თუ ის მეცნიერება მოიცავს სხვა მეცნიერებებს, ან იმდენად შეიჭრება მათ სფეროში, რომ ცხადდება ყველა მეცნიერებათა საფუძვლად. დანარჩენი მეცნიერებანი საფუძველ-მეცნიერების ცნებათა სისტემას თავისებურ ეტალონად მიიჩნევენ. ასეთი საფუძველ-მეცნიერების როლს ფილოსოფიიდან მეცნიერებათა გამოყოფის და ფილოსოფიის გავლენის შესუსტების შემდეგ, სხვადასხვა ეპოქაში ასრულებდნენ: ფიზიკა, მათემატიკა (რაც ამჟამადაც საკმაოდ ძლიერად ვლინდება), ბიოლოგია და ფსიქოლოგია. სოციოლოგია მისი წარმოშობისთანავე მოექცა ბიოლოგიის გავლენის ქვეშ და მისი პირველი მიმართულება ბიოლოგიის მეცნიერებაზე იყო ორიენტირებული. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კონტით დაწყებული მთელი ორგანიციისტული სოციოლოგია და სოციალ - დარვინიზმი სოციოლოგიას ბიოლოგიურ ცნებათა სისტემაში და ბიოლოგიის განზომილებაში განსაზღვრავდა, მაგრამ უკვე ორიენტირებული სოციოლოგიის წარმომადგენლებთანაც შეუძლებელი გახდა სოციოლოგიაში ბიოლოგიზმის

ბოლომდე მიყვანა და სოციოლოგიის მთლიანად ბიოლოგიისადმი დაქვემდებარება. თვით კონტიც კი თავის უკანასკნელ შრომებში სოციოლოგიას უცვლის ორიენტაციას და ბიოლოგიზების ნაცვლად მის ფსიქოლოგიზებას ეწევა. მე-19 საუკუნე, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევარი, წარმოადგენდა ფსიქოლოგიის უნივერსალიზაციის ყველა სოციალურ მეცნიერებათა ფსიქოლოგიურ საფუძველზე აგების ცდას. ფსიქოლოგიზმი გახდა გაბატონებული ესთეტიკაში, ეთიკაში, სოციოლოგიაში და სხვ. მრავალ სოციალურ მეცნიერებაში. ფსიქოლოგიის გავლენა განიცადა ისეთმა აბსტრაქტულმა მეცნიერებამაც კი, როგორცაა ლოგიკა. ლოგიკასა და შემეცნების თეორიაში გაჩაღდა დავა ფსიქოლოგისტებსა და ანტიფსიქოლოგისტებს შორის. ფსიქოლოგიზმის პოპულარობის მიუხედავად მას გაუჩნდა ანტიპოდი ანტიფსიქოლოგიზმის სახით. ლოგიკაში მისი უკიდურესი ფორმა იყო ლოგიციზმი, ხოლო სოციოლოგიაში – სოციოლოგიზმი. თუმცა მე-19 საუკუნის ანტიფსიქოლოგისტებმა ლოგიკა ვერ გაათავისუფლეს ფსიქოლოგიზმისაგან, მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ლოგიკამ ჰუსერლის და ფრეგეს გზით შეძლო ფსიქოლოგიზმისაგან განთავისუფლება. სოციოლოგიისთვის კი ეს შეუძლებელი გახდა, თუმცა სოციოლოგიაში ანტიფსიქოლოგიზმს ჰყავდა ისეთი ცნობილი წარმომადგენელი, როგორცაა ემილ დიურკემი. სოციოლოგიაში ფსიქოლოგიზმის პოზიციები იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ თანამედროვე სოციოლოგიაც ისეთივე ფსიქოლოგისტურია, როგორც იყო მე-19 საუკუნის სოციოლოგია. ფსიქოლოგისტური სოციოლოგიის განვითარების და წინსვლის პროცესმა კიდევ უფრო განამტკიცა ფსიქოლოგიზმი სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის სფეროთა დამთხვევა და გააძნელა მათი სფეროების ერთნამეთისაგან განსხვავება. დღეს ეს პროცესი იმდენად ძლიერია, რომ ავტორთა უმრავლესობა არ ცდილობს, ისინი ერთმანეთისაგან გამიჯნოს. სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევები ისევეა სოციოლოგიური ხასიათის, როგორც სოციოლოგიური გამოკვლევები ფსიქოლოგიური ხასიათის. ასეთი ვითარების გამოძახილია ალექს ინკელსის პროტესტი სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის გამიჯვნის, სოციოლოგიის საკუთრივი სფეროს მოხაზვის წინააღმდეგ. მისი აზრით, "როგორც ჩანს, საკუთარ ცოდნაში მტკიცე დარწმუნებულობის უქონლობა არის იმის მიზეზი, რომ სოციალურ მეცნიერებათა წარმომადგენლები ასეთ დიდ დროს და ენერგიას ფლანგავენ კვლევის საკუთარ სფეროთა "საზღვრების" დადგენაზე. თითქოსდა კვლევის ყოველი ამ სფეროთაგანი რაღაც წმინდა ადგილია, რომლის დაცვა აუციელებელია აგრესიული, ბარბაროსული და წარმართული მტაცებლებისაგან. პროფესიული მოღვაწეობის სფეროთა მკაფიო დაყოფის ეს მოთხოვნილება იწვევს იდეოლოგიური სიწმინდის მიღწევის მოთხოვნილებას და არცთუ იშვიათად ისინი, ვინც თავიანთ თავს კვლევის ამ სფეროს უძღვნიან, უკვე თავისი მოღვაწეობის პირველი დღეებიდანვე ცდილობენ გამოავლინონ საშიში პანთეისტური რწმენის ნიშნები. ამა თუ იმ დისციპლინის სახელი გამოხატავს არა იმდენად კვლევის მთავარ ობიექტს ან კვლევის წესს, რამდენადაც არის თავისებური დროშა, რომლის გარშემო ირაზმებიან მისი ერთგული მკვლევარები. სოციოლოგიაში ეს ტენდენცია ვლინდება, როგორც სოციალურ მოვლენათა იმ მეთოდით ანალიზის ცდა, რომელიც სავსებით გამორიცხავს

ფსიქოლოგიური თეორიის და ფსიქოლოგიური მონაცემების გამოყენების შესაძლებლობას". ისტორიულად სოციოლოგიის და ფსიქოლოგიის მიმართულების საკითხი მე-19 საუკუნეშივე დადგა მეტად მწვავედ. ფსიქოლოგიზმის პირველი წარმომადგენლები თავიანთ თავს თვლიდნენ სოციოლოგიაში ახალი ტენდენციის შესაქმნელად და აკრიტიკებდნენ ბიოლოგიზმს სოციოლოგიაში. ეს ბრძოლა სოციოლოგიაში ბიოლოგიზმის წარმომადგენლებთან ორი მიმართულებით წარიმართებოდა. უპირველეს ყოვლისა, ცდილობდნენ ეჩვენებინათ სოციალური ფაქტის, როგორც სოციოლოგიის შემეცნების საგნის განსხვავებულობა ბიოლოგიურისაგან და, მეორე მხრივ, ამაზე დამყარებით განესხვავებინათ სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, ბიოლოგიისაგან. ამ გზით განვითარდა ფსიქოლოგისტური სოციოლოგია. "ფსიქოსოციოლოგია წარმოიშვა, როგორც რეაქცია ბიოლოგისტურ სოციოლოგიაზე, და მის ფუძემდებლებს იმთავითვე გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ სოციოლოგიის საგანი თვითონ სოციალურის სფეროში უნდა ვეძიოთ და არა მის გარეთ, მაგალითად ბიოლოგიურ სფეროში. მაგრამ რამდენადაც ამ მოძღვრების მიხედვით სოციალური ფსიქიკურზე დაიყვანება, მის წინაშე ყოველთვის მწვავედ იდგა სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის გამიჯვნის ამოცანა". ფსიქოლოგიზმი სოციოლოგიაში დაკავშირებულია ისეთ ცნობილ სოციოლოგების სახელებთან, როგორიც იყვნენ: ლესტერ უორდი, გაბრიელ ტარდი, გიდინჟსი, ზიმელი, ვიზე და სხვ. ფსიქოლოგიზმი სოციოლოგიაში გამოიწვია ფსიქოლოგიის გამოყოფამ ფილოსოფიიდან და ამასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიის წარმატებებმა. ისე როგორც სოციოლოგიამ, ფსიქოლოგიამაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მიიღო დამოუკიდებელი არსებობა, და სწორედ ამ პერიოდში ეყრება საფუძველი ფსიქოლოგიზმს სოციოლოგიაში. ეს ფსიქოლოგიზმი ერთნაირად წარიმართებოდა როგორც ბიოლოგიზმის, ისე სოციოლოგიზმის წინააღმდეგ. ფსიქოლოგიზმის პირველი წარმომადგენელია გაბრიელ ტარდი.

2. გაბრიელ დე ტარდი, იურისტი, ფსიქოლოგი და სოციოლოგი

ფრანგი იურისტი, იტალიური კრიმინოლოგიური სკოლის მიმდევარი, სოციოლოგი და ფსიქოლოგი ლეონის ჯგუფური პროცესების მიმდინარეობის გავლენით აყალიბებს საკუთარ სოციოლოგიურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ, კრიმინალურ თვალსაზრისს. ქმნის ერთიან პრინციპზე აგებულ ზოგად სოციოლოგიურ თეორიას, რომელსაც აფართოებს კვლევის შედარებითი, არქეოლოგიური და არაკლასიკური მეთოდებით. საკუთარ ზოგადსოციოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით აწარმოებს ცალკეულ სოციალურ სფეროთა შემეცნებას, განსაკუთრებით ნაყოფიერად ავითარებს საზოგადოებრივი აზრის პრობლემებს, ასევე ბრბოსა და პუბლიკის თეორიას, დამნაშავეობის სოციოლოგიას და ფილოსოფიას და სხვა. ტარდი მრავალრიცხოვანი შრომების ავტორია, რომელთა უმრავლესობა ითარგმნა და გამოიცა რუსულ ენაზე, ზოგიერთი რამდენიმე გამოცემით.

ტარდის ნააზრევი სოციოლოგიაში ფსიქოლოგიზმს მიეკუთვნება, ფსიქოლოგიზმი არის მიმდინარეობა, რომელიც სოციალურს ფსიქიკურზე დაიყვანს, ან ფსიქიკურით

ახსნის. ფსიქოლოგიზმი ორი ძირითადი ნაკადითაა წარმოდგენილი ინდივიდუალური და კოლექტიური - ფსიქოლოგიური, ანუ სოციალურ-ფსიქოლოგიური. პირველი ნაკადი სოციალურს ინდივიდის ფსიქიკით ახსნის, მეორე ნაკადი კი საზოგადოებრივი ფსიქიკით და სოციოლოგიას სოციალურ-ფსიქოლოგიაზე დაიყვანს. ტარდი ნომინალისტია, საზოგადოებას მიიჩნევს ინდივიდთა კონგლომერატად, მაგრამ სოციალურის ახსნაში, ძირითადად სოციალურ-ფსიქოლოგიურ პოზიციას იცავს. მისთვის ინდივიდუალურ-ფსიქიკური ფსიქოლოგიის სფეროა, ხოლო სოციალურ-ფსიქიკური, თუ საზოგადოებრივი ფსიქიკა, ქმნის სოციოლოგიის არენას. ამიტომ აიგივებს საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას სოციოლოგიასთან და ამტკიცებს, რომ "სოციოლოგია სხვა არაფერია, თუ არა კოლექტიური ფსიქოლოგია".

ტარდი მიზნად ისახავს, გაარკვიოს სოციოლოგიის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში, მისი აწმყო და მომავალი პერსპექტივები. ტარდის აზრით, სოციოლოგია ჰგავს იმ ჩვილს, რომელიც მონათლულია დაბადებამდე, ამოცანა კი ისაა, მივცეთ საბოლოოდ დაბადების საშუალება, რაც შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ სოციალური მოვლენების განსაკუთრებულობის ჩვენებით. თუ აქამდე სოციალური მეცნიერებანი მხოლოდ ჩანასახის სახით არსებობს, ამის მთავარი მიზეზი, ტარდის აზრით, ისაა, რომ მხედველობიდან გამორჩათ საგანი და მის ნაცვლად გამოეკიდნენ აჩრდილს. ეს იმით გამოიხატა, რომ სოციოლოგიისთვის მეცნიერულობის მინიჭება უნდოდათ ბიოლოგიური ან მექანიკური ხასიათის მიცემით, რაც დაახლოებით ნიშნავდა, გაგვეშუქებინა ნაცნობი უცნობით ან, უკეთ გაგების მიზნით, მზის სისტემა წარმოგვედგინა როგორც ბურუსიანი ლაქა. ტარდი უარყოფს ბიოლოგიზმს და თვლის, რომ საზოგადოების ანალოგია ორგანიზმთან, ისევე როგორც საზოგადოების ახსნა ორგანიზმის კანონზომიერებით, შეუძლებელია. თუ მაინც დაუშვებთ გარეგან ანალოგიას საზოგადოებასა და ორგანიზმს შორის, საზოგადოების სპეციფიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა გაგებული, თუ ვადიარებდით, რომ "სოციალური ორგანიზმი თავისი არსებით მიმბაძველობითია და რომ მიბაძვა საზოგადოებაში ასრულებს იმის ანალოგიურ როლს, რასაც მემკვიდრეობითობა ფიზიოლოგიურ ორგანიზმებში ან ტალღური რხევა მკვდარ ორგანიზმისადმი. ის გადაჭრით უარყოფს ბიოლოგიზმს სოციოლოგიაში და ამ უარყოფას ახდენს "მიბაძვის" კატეგორიით. ადამიანის ყოველი საქმიანობა – "ლაპარაკობს თუ ლოცულობს, იბრძვის თუ მუშაობს, ძერწავს, ხატავს თუ ლექსებს წერს... – მიბაძვის ნიმუშია, პროდუქტი ნებაყოფლობითი ან სავალდებულოსი, ცნობიერის თუ არაცნობიერის, წინასწარ განზრახულის თუ უნებლიესი, გონიერის თუ უაზროსი, მასიმპათიზებლის ან შემძულელების, გამკვირვებლის ან მოშურნის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მიბაძვის". სოციოლოგიის გასაღები არ შეიძლება იყოს ბიოლოგია, რადგან ბიოლოგიური განსხვავებულია სოციალურისაგან. ყველაფერი, რაც ბუნებრივად აქვს ადამიანს, არის ფიზიოლოგიური, ყველაფერი, რაც შეუძენია ცხოვრებაში, არის სოციალური. სოციალური ცხოვრება ცნობიერებასთან განუყრელად დაკავშირებულია და მისგან გამომდინარე, ცნობიერებაზე უფრო ნათელი და ღრმა არაფერია, მასშია მოქცეული ცხოვრების ყველა საიდუმლოება. ეს კი ნიშნავს, რომ აუცილებელია "მივმართოთ

ფსიქოლოგიას და არა ბიოლოგიას როგორც სოციოლოგიის გასაღებს". ამოსავალი უნდა იყოს ჩვენი უშუალო სინამდვილე, რომელიც სოციალურ მოვლენათაგან შედგება, რომელთა მიზეზს ინდივიდუალური ქცევა წარმოადგენს. შეუძლებელია ისტორიის ახსნა ან ამ ინდივიდუალური ქცევებით, ან კიდევ გარეგანი ძალებით. ორივე უკიდურესობაა. უნდა მოიძებნოს ნამდვილი მამოძრავებელი ძალა. ასეთი კი არის ადმოჩენები და გამოგონებანი, რომელთაც შეაქვთ სიახლე სოციალურ მოვლენებში. ამ გამოგონებათა და აღმოჩენათა სოციალურ ცხოვრებაში გატარება ხდება მიბაძვით. მხოლოდ ეს არის სოციალური ფაქტის ძირითადი მახასიათებელი. "საზოგადოებრივ მიმართებაში ყველაფერი აღმოჩნდება, გამოგონებლობა და მიბაძვა. მიბაძვა არის მდინარეები, რომელნიც გამოედინებიან იმ მთებიდან, რომელსაც გამოგონებანი წარმოადგენენ". სოციოლოგიის მეცნიერებად გახდომისას აუცილებელია, რომ ის აკმაყოფილებდეს ყველა მეცნიერებისათვის სავალდებულო პირობებს. უპირველეს ყოვლისა, მისი მიზანი უნდა იყოს გამეორებად პროცესთა შესწავლა. ამიტომ საკითხი ისმის – რა არის სოციალურში გამეორებადი. სოციალური უპირველესად ინდივიდია გარემოში, რომელიც ურთიერთობაშია სხვასთან. ამ ურთიერთობაში ის ამოდის გარკვეული მისწრაფებებიდან, გარკვეული სურვილებიდან, რომელნიც განპირობებულია მისი დარწმუნებულობით, რაღაც ნორმების და სოციალური პირობების მიღებით. ყოველი ინდივიდი არის განსაზღვრულ სურვილთა და დარწმუნებულობათა მატარებელი. ეს ნიშნავს, რომ სურვილები და დარწმუნებულობანი არის ის, რაც მეორდება საზოგადოების ყოველ წევრში ელემენტრული სოციალური ფაქტის სახით. როგორც ერთ-ერთი რუსი სოციოლოგი შენიშნავს, "ტარდი ასაბუთებს, რომ ყველა საზოგადოებრივი მოვლენა, რამდენადაც მათი საფუძველი არის ადამიანის ფსიქიკური მოღვაწეობა, დაიყვანება ორ ძირითად ძალაზე – რწმენასა (ანუ დარწმუნებულობაზე) და სურვილზე, ე. ი. ადამიანი უპირველესად რაიმეს ისურვებს, მაშასადამე, რაიმეს ესწრაფვის და მეორეც, ასე თუ ისე დარწმუნებულია... ამ სურვილის განხორციელებაში, განხორციელების საშუალებებში და ა. შ. ასეთი დაყვანა ორ მარტივ ძალამდე (ტარდის აზრით) სოციალურ ფაქტებს გაზომვადს ხდის". ცხადია, მიბაძვის ცნება არ გაიგება სურვილებისა და დარწმუნებულობათა ცნებების გარეშე, რადგან მიბაძვა არის შთაგონების შედეგი, რომელიც ადამიანს უღვიძებს გარკვეულ სურვილებს დარწმუნებულობათა ბაზაზე. ტარდი წერს: "სულის მისწრაფებათა ენერგია, სულიერი წყურვილი, რომელსაც მე ვუწოდებ სურვილს, ასევე ფაქტთა გონებრივი წვდომისა და აგების ენერგია, რომელსაც მე ვუწოდებ დარწმუნებულობას, არის ერთგვაროვანი და განუწყვეტელი ნაკადი, რომელიც სხვადასხვა ფერის და ელფერის მიღების მიუხედავად, სხვადასხვაგვარ აფექტებზეა დამოკიდებული, მაგრამ მაინც ყველგან იგივეობრივია, თუმცა მოძრაობს ხან განცალკევებულად, ხან კი კონცენტრირებულად". სურვილი და დარწმუნებულობა სოციალური ცხოვრების ყველა დარგში, ფორმათა განსხვავების მიუხედავად, გაზომვადია. მაგალითად, ბირჟაზე ბიულეტენები გამოხატავენ ამა თუ იმ წარმოებათა წარმატებების მიმართ საზოგადოების ნდობის ცვალებადობას, ისე როგორც საზოგადოებრივი სურვილების

მერყეობას. მოსახლეობის ზრდის სტატისტიკა გამოხატავს იმას, თუ როგორ იცვლება ადამიანთა სურვილები – იყვნენ მშობლები და იქორწინონ, ასევე იმაში დარწმუნებულობას, რომ ქორწინებაში შეიძლება პოვონ ბედნიერება. ყველა შემთხვევაში ადამიანებს შორის მიმართება აგებულია ორი პირის ურთიერთობაზე: იმისა, ვინც გავლენას ახდენს, შთააგონებს და იმისა, ვიზეც ახდენენ გავლენას, ვინც ამ შთამბეჭებელს ბაძავს. სოციალურ ცხოვრებაში ფაქტთა იგივეობრიობა "შთაგონება - მიბაძვის შედეგია". ამაში მთავარი როლი ეკუთვნის მაგალითს, რომელსაც ერთი პირი აძლევს მეორეს. "ამ ორი ადამიანის ურთიერთობა არის სოციალური ცხოვრების ერთადერთი აუცილებელი ელემენტი და ეს დამოკიდებულება თავდაპირველად მდგომარეობს ერთი პირის მეორისადმი მიბაძვაში... თუ ვცხოვრობთ სოციალური ცხოვრებით, რასაც არ უნდა ვამბობდეთ, რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ და ვფიქრობდეთ, ჩვენ ყოველ მომენტში ვბაძვით მეორეს". მიბაძვა არის ის ფაქტი, რომელიც ადამიანთა ურთიერთობას აქცევს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის ტიპურად. ყოველი მხატვარი, ყოველი ხელოვანი ბაძავს იმას, ვინც ის შთააგონა. ასე რომ, "სოციალური ფაქტის მუდმივი ნიშანი არის მიბაძვა". და ეს ნიშანი მხოლოდ სოციალურ ფაქტებს ახასიათებს. ტარდი არ აფართოებს მიბაძვის ცნებას, თუმცა ბულდუინის მიერ მიბაძვის გავრცელება ორგანულ სამყაროზე მისი თეორიის კიდევ ერთ დადასტურებად მიაჩნია. მას ორგანული სამყაროს მიბაძვა ფსიქოფიზიოლოგიის საგნად აქვს წარმოდგენილი, ხოლო ფსიქოსოციოლოგიის საგნად – სოციალურ სამყაროში არსებული მიბაძვა. ტარდის აზრით, სურვილი და დარწმუნებულობა, შესაძლებელია მათი საპირისპიროც. ადამიანში ხდება სულიერი ბრძოლა: რაიმე ირწმუნოს: თუ – არა, რაიმე ისურვოს, თუ – არა. ამდენად ეს სულიერი ბრძოლა, როგორც თავისებური შინაგანი ოპოზიცია, დაპირისპირება აუცილებელი მომენტია მიბაძვის, როგორც ფსიქიკურის სოციალური ფაქტის. ტარდის აზრით, არის თავისებური კონკურენცია სურვილებსა და დარწმუნებულობებს შორის, თავისებური ბრძოლა, რომელიც, გავრცელებულია მთელ სოციალურ ცხოვრებაზე, ნიშნავს, "რომ ნამდვილი ელემენტარული სოციალური დაპირისპირება უნდა ვეძებოთ ყოველ სოციალურ ინდივიდში, ყოველთვის, როცა ის მერყეობს, მიიღოს თუ არ მიიღოს ახალი ნიმუში ან ახალი გამოსახვა, ახალი ჩვევა, ახალი იდეა ან მხატვრული სკოლა, ახალი ქცევა, რომელიც მას ეძლევა. ეს მერყეობა, ეს პატარა შინაგანი რღვევა, რომელიც კიდევ წარმნოიქმნება მილიონ ეგზემპლარში ხალხის ცხოვრების ყოველ მომენტში, არის სწორედ უსასრულოდ მცირე დაპირისპირება, უსასრულოდ ნაყოფიერი ისტორიაში. მას სოციოლოგიაში შემოაქვს ღრმა და ნელი რევოლუცია". ყოველ ინდივიდში არსებული დაპირისპირებანი ჯამის სახით იძლევა ხალხის, რელიგიის, ენის, კოლექტიურ დაპირისპირებებს. ეს დაპირისპირებანი განსხვავებათა მაქსიმუმი კი არაა, არამედ მსგავს მოვლენათა თავისებურ წყვილთა განმეორებადი მწკრივი. ეს წყვილები საპირისპირონი არიან, როგორც მისწრაფებანი, როგორც ძალები, რომელთა განსხვავებულობა ჩვეულებრივ დაპირისპირებულობათაგან კარგად ჩანს სურვილების და დარწმუნებულობათა სფეროში. "ფსიქოლოგისტური ახსნა რომ მივცეთ ამ სოციალურ კონტრასტებს...,

შევნიშნავთ, რომ რაიმე იდეაში... ჩვენ "დადებითი დარწმუნებულობის" გადიდება და შემდეგ შემცირება სულ სხვაა, ვიდრე ამ იდეის მტკიცება და შემდეგ უარყოფა და რომ რაიმე საგნის ქონების სურვილის გაძლიერება და შემდეგ შესუსტება, მაგალითად, ქალისადმი ჩვენი სიყვარულისა, სრულიადაც არაა ის, რაც არის ჩვენი სურვილი და შემდეგ სიძულვილი ამ საგნისადმი, ჩვენი სიყვარული და შემდეგ სიძულვილი ამავე ქალისადმი". ტარდი განასხვავებს გარეგან და შინაგან დაპირისპირებებს და განმსაზღვრელად თვლის შინაგანს. აქ დიალექტიკური დაპირისპირებულობა კი არ იგულისხმება, არამედ მსჯელობა იმაზეა, რომ ინდივიდის ფსიქიკაში მიმდინარე ბრძოლა რაიმე სურვილსა და მის უარყოფას შორის განსაზღვრავს ინდივიდუალურ ურთიერთობაში სურვილებსა და დარწმუნებულობებს შორის ბრძოლას. ტარდის აზრით, სოციოლოგიის სფერო თუმცა ურთიერთობის ფარგლებშია, ეს ურთიერთობა კი ფსიქიკურია, მაგრამ შორისი ფსიქიკური ურთიერთობანი კი არაა დამოუკიდებელი ძალა, და ადამიანებს შორის ურთიერთობათა ხასიათის განმსაზღვრელი, არამედ წარმოებული და გამოყვანილია ინდივიდის შინაგნით სულიერ ძალთა ბრძოლიდან. მაგალითად, კონკურენცია სახლის მყიდველებს შორის სულ უფრო იზრდება, რაც უფრო მეტად შეიცნობს ყოველი ინდივიდი სახლის ყიდვის სურვილს, ეს ნიშნავს, რომ "ელემენტარული სოციალური დაპირისპირება უნდა ვეძიოთ არა ორი ინდივიდის ურთიერთობაში, რომელნიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან ან ხელს უშლიან... ის უნდა ვეძიოთ ლოგიკურ ტელეოლოგიურ სარბიელზე დებულებათა და ანტითეზათა, "სურვილთა და არასურვილთა" ამ განსაკუთრებულ ბრძოლებში, რომელთა მოქმედების ადგილი არის სოციალური ინდივიდუალის ცნობიერება". ტარდი ცდილობს, განასხვავოს სოციალური ინდივიდის ცნობიერებაში არსებული სოციალური დაპირისპირება იზოლირებული ინდივიდის ფსიქიკური დაპირისპირებისაგან, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ამ დაპირისპირებათა მიზეზებში ეძებს. ფსიქიკური დაპირისპირების მიზეზი ამ ინდივიდის შინაგან მერყეობაშია. მაშინ, როდესაც სოციალური დაპირისპირების მიზეზი არის იმ სხივში, რომელიც მიბაძვის სახით ანათებს ინდივიდის ცნობიერებას. ინდივიდუალურ და ელემენტარულ სოციალურ დაპირისპირებათა განსხვავება ვლინდება მათ შედეგებშიც. "მთავარი განსხვავება წმინდა ინდივიდუალურ და ელემენტარულ სოციალურ დაპირისპირებებს შორის შედეგებშია, ან, უფრო სწორად, პირველის არაქმედითობაში, თუმცა სოციალური დაპირისპირებაც ინდივიდუალურია". თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ განსხვავება დაპირისპირებათა მიზეზებსა და შედეგებს შორის ტარდთან ხელოვნურია და, მისი აღიარებით, ინდივიდუალური დაპირისპირებისთვის მცირედიც კი საკმარისია, რათა ის გახდეს სოციალური, უნდა დავასკვნათ, რომ ელემენტარული სოციალური ფაქტის დაპირისპირება არსებითად არაფრით არაა განსხვავებული ინდივიდუალური ფსიქიკურისაგან. ამას ადასტურებს ტარდის სიტყვებიც, რომ "სოციალურ ურთიერთობებში ყველაფერი წარმოდგება ფქიქოლოგიურ დაპირისპირებათაგან".

ელემენტარულ სოციალურ ფაქტთა მესამე რიგს და შესაბამის კანონს ტარდი უკავშირებს შეგუებადობას. "ელემენტარული სოციალური შეგუება არის მიმართება

მასწავლებელსა და მოსწავლეს, მსახიობსა და მაცურებელს, მბრძანებელსა და აღმასრულებელს, მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის და მიუხედავად იმისა, რომ ეს შეგუება გულისხმობს ორ წევრს, ის მაინც ინდივიდის ტვინში, გამომგონებლის გენიაში უნდა ვეძებოთ. გამოგონება არის იდეათა ჰარმონია, ის ადამიანთა შორის არსებული ყველა დანარჩენი ჰარმონიის "დედაა". სოციალური განმეორებადობის, დაპირისპირებისა და შეგუებადობის, ფაქტთა და კანონთათვის საერთო ის არის, რომ ისინი ინდივიდუმიდან მოდიან და ემყარებიან მიმბაძველობას. ამ ელემენტარულ სოციალურ ფაქტთა რიგში ტარდისთვის მთავარია დაასაბუთოს მათი ინდივიდუალურ-სოციალური ხასიათი და დაუპირისპირდეს მათ სოციალურ-ფსიქოლოგიურ გაგებას. ტარდისთვის ინდივიდუუმის გარდა სხვა ყოველგვარი ძალა გამორიცხულია სოციალურ ფაქტებში, დაწყებული მეცნიერების თეორიით და დამთავრებული ენითა და მორალით. სოციალურ ცხოვრებაში ყველაფერი "ინდივიდუალობის ანაბეჭდს ატარებს".

ტარდი სოციალურს მთლიანად დაიყვანს ფსიქიკურზე და ამდენად ის უარყოფს არა მხოლოდ ბიოლოგიზმს, არამედ სოციალოგიზმსაც, რომელიც სოციალურის სახით ეძებდა ახალ, განსაკუთრებულ სინამდვილეს. ტარდი უარყოფს დიურკემის სოციოლოგიზმს და უნაყოფოდ მიიჩნევს სოციალურისაგან ფსიქიკურის გამორიცხვის ცდას. სოციოლოგიზმის ძირითად შეცდომად ტარდს მიაჩნია სოციალური ფაქტის არსებობის წარმოდგენა მის ინდივიდუალურ გამოვლინებათა გარეშე. ინდივიდუალურის გარეშე ზოგადის წარმოდგენა, ტარდის აზრით, სქოლასტიკაა, რადგან, თუ ინდივიდუუმებს უკუვაგდებთ, როგორ დაგვრჩება საზოგადოება. პროფესორების გარეშე – წერს ტარდი, რა დარჩებოდა უნივერსიტეტიდან სახელის გარდა, "რა სარგებლობას ნახულობენ იმაში, რომ სოციოლოგიის გაწმენდის საბაზით აცლიან მას მთელ ფსიქოლოგიურ ცოცხალ შინაარსს. როგორც ჩანს, საგანგებოდ ახლად რომ ქმნიან, იმ მეცნიერებისთვის ეძებენ სოციალურ საწყისს, რომელშიც ფსიქოლოგია სულაც არ შევიდოდა და რომელიც მე მეჩვენება გაცილებით უფრო ქიმერულად, ვიდრე ძველი სასიცოცხლო საწყისი". ტარდი თავისი ფსიქოლოგიზმის დასაბუთებას შეეცადა სოციოლოგთა მეხუთე საერთაშორისო კონგრესზე პარიზში, სადაც მან სცადა დაესაბუთებინა სოციალური ფაქტის ფსიქოლოგისტური გაგება და სოციალური სინამდვილის ფსიქოლოგიური მეთოდით შესწავლის აუცილებლობა. ტარდის მიერ ძირითად სოციალურ ფაქტად "მიბაძვის" გამოცხადება დაკავშირებული იყო სუბიექტთა შორის ურთიერთობის აუცილებლობასთან, რადგან მიბაძვა მხოლოდ ურთიერთობის გზით არის შესაძლებელი. ამდენად, სოციოლოგია რომ ფსიქოლოგიას ემყარებოდეს, ეს აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისია, რადგან ტრადიციულ ფსიქოლოგიას კი არ უნდა ემყარებოდეს, არამედ ინტერფსიქოლოგიას. "ჩემი აზრით, საზოგადოებრივ მოვლენათა ფსიქოლოგიურ ახსნას რომ ვესწრაფვით, უნდა მივმართოთ ფსიქოლოგიის კიდევ უფრო ნაკლებად განვითარებულ დარგს, რომელზეც მე ახლა მივუთითებ და რომელსაც ბრწყინვალე მომავალი აქვს, სახელდობრ, "ინტერფსიქოლოგიას", ხოლო ასეთ ფსიქოლოგიას საერთო არაფერი აქვს "ჩვეულებრივ ფსიქოლოგიასთან".

ინტერფსიქოლოგიის აღიარებით და ჩვეულებრივი ფსიქოლოგიისაგან გამოყოფით ტარდი არ უშვებს მრავალ ფსიქოლოგიას. მისი აზრით, ფსიქოლოგია ერთია და სამი ნაწილისაგან შედგება. ეს ნაწილები წარმოდგება ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე სამგვარი გავლენით. პირველი არის: გ ა რ ე ფ ს ი ქ ი კ უ რ ი გავლენა; მეორე – შ ი დ ა ფ ს ი ქ ი კ უ რ ი და მესამე – ფ ს ი ქ ი კ ა თ ა შ ო რ ი ს ი . პირველი გავლენა მოდის ბუნებიდან, მეორეს სუბიექტი ახდენს თავისთავზე, მესამეს კი – სუბიექტები ერთმანეთზე. ტარდის აზრით, ეს სამი გავლენა "შეადგენს სოციალური ცხოვრების მთავარ შინაარსს, რომელიც... ამღვებს მათ საზოგადოებრივ ფაქტთა და მოვლენათა გარეგან ფორმას". რადგან სოციალური ფაქტი მიბადება, ეს კი გულისხმობს ორ ადამიანს მაინც, ამიტომ ტარდი აღიარებს "სოციალიზაციის პროცესს", რომელშიც ინდივიდუუმებს შორის ფსიქიკური დამოკიდებულება სხვადასხვა ფორმას ღებულობს. ყველა ამ ფორმათა გზით წარმოიშობა "საზოგადოებრივი მოვლენა", რომელიც ყოველთვის ფსიქიკურია, ამიტომ, თუმცა სოციოლოგს აინტერესებს ფსიქოლოგიის ყველა სფერო, სოციოლოგის თვალში "ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქიკათაშორისად წოდებულ სფეროს". ეს ნიშნავს იმის აღიარებას, რომ "ინტერფსიქოლოგია, ანუ შორისი ლოგიკა არსებითად წარმოადგენს ელემენტარულ სოციოლოგიას, რომელთაგან მხოლოდ ერთს აქვს უნარი, ახსნას რთული სოციოლოგია ანუ სოციოლოგია სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. მართლაც, ძნელი გასაგები არაა, რომ ძირითადი ფსიქიკათაშორისი ფაქტი... არის საზოგადოებრივი ცხოვრების უკანასკნელი ელემენტი, რომელიც მასში უსასრულოდ მეორდება და ასეთი განახლებით ქმნის ამ ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ან უფრო რთულ საზოგადოებრივ ფაქტებს (რელიგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ა. შ)".

ტარდის მიზანია სოციოლოგიის ზოგადი თეორიის შექმნა, ამ მიზნით მას რამდენიმე ამოსავალი პრობლემა სჭირდება: პირველ რიგში სოციოლოგია, სხვა მეცნიერებათა მსგავსად, უნდა იყოს მოძღვრება კანონების, სოციალური კანონების შესახებ. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სოციოლოგიის საგანი, საზოგადოება ადამიანთა ქცევებში ისევე ავლენს განმეორებადობას და მსგავსებას, როგორც ბუნება; თუ საზოგადოებაშიც ბატონობს ერთგვაროვნების პრინციპი, თუ საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი სიახლეები, მათი შემთხვევითი ხასიათით კანონზომიერების გამოვლენის ფორმებია. ტარდის მიხედვით, საზოგადოება ხასიათდება განმეორებით და მსგავსებით, მხოლოდ მას ბუნების ერთგვარობისაგან განსხვავებული საფუძველი აქვს. ისტორიკოსი რომ ერთჯერადს ეძებს და ბუნებისმეცნიერი განმეორებადს, ეს ფაქტების განსხვავებულობით კი არ აიხსნება, არამედ მათ ინტერესთა განსხვავებით. განმეორებადობა ახასიათებს მთელ სამყაროს, ბუნებრივია, სოციალურის ჩათვლით, მხოლოდ განმეორებადობის ფორმებია განსხვავებული ფიზიკური, ორგანული და სოციალური, ფიზიკური რხევითია, ორგანული მემკვიდრეობითი, სოციალური მიბადებითი. განმეორებადობის ამ ფორმებს შორის ცალსახა კავშირია, ფიზიკური, როგორც ყველაზე დაბალი ფორმა, შედის ორგანულში, ორგანულში კი სოციალურში, მაგრამ არა პირიქით.

სოციოლოგია და ყველა სოციალური მეცნიერება მოწოდებულია, დაადგინოს სოციალური ცხოვრების განმსაზღვრელი მიბადების კანონზომიერება და თავისებურება.

ტარდის აზრით, მეცნიერული კვლევა-ძიება ორი საფეხურისაგან შედგება: ფაქტების დაგროვება და მათი ახსნა, ფაქტების დაგროვება არაა მეცნიერება, მაგრამ მისი აუცილებელი პირობაა. მეცნიერება მხოლოდ ახსნის შემთხვევაში გვაქვს.

სოციოლოგიაც ამ ორი მომენტისაგან შედგება. ფაქტების გროვა ვერ შექმნის სოციოლოგიის მეცნიერებას, რადგან ის მხოლოდ ფაქტების ახსნაშია. სოციოლოგიას, ისე როგორც ყოველ მეცნიერებას, ფაქტების ახსნის საკუთარი მეთოდი სჭირდება. ტარდს თავის ერთ-ერთ დამსახურებად სოციოლოგიური კვლევის მეთოდის შემუშავება მიაჩნია.

რადგან სოციალური ტარდმა მთლიანად ფსიქიკურზე დაიყვანა, ამიტომ სოციალური კვლევის მეთოდებიც ფსიქიკურის მეთოდებზე უნდა დაეყვანა. ტარდის თეორია ფსიქილოგიზმს ამ მხრივაც სრულყოფილად წარმოადგენს. ტარდი ებრძვის სოციოლოგიაში ობიექტური მეთოდის მომხრეებს, რადგან მიაჩნია, რომ ობიექტური ბუნებისმეცნიერების მეთოდია. საზოგადოებრივ მეცნიერებას კი მხოლოდ სუბიექტური მეთოდი ეკუთვნის. ეს კი ფსიქიკურის მეთოდია, ამიტომ სოციოლოგია მთლიანად უნდა დაემყაროს ფსიქოლოგიურ მეთოდს. ეს ნიშნავს, უკუვაგდოთ ის გზა, რომელიც კონტიდან მოდის "სოციალური ფიზიკის" სახით. ტარდის აზრით, ეს გზა თვით კონტმა უარყო და ამიტომ მას გასაკვირად ეჩვენება სოციოლოგიაში ობიექტივიზმის გამეორება. ტარდს არც შედარებითი მეთოდი მიაჩნია ობიექტურ მეთოდად. დანაშაულის კვლევის პროცესში ტარდი, როგორც თვითონ აღნიშნავს, შედარებით მეთოდს იყენებდა როგორც სუბიექტურ მეთოდს ფსიქიკურის კვლევისათვის. საბოლოოდ ტარდი შემდეგნაირად აჯამებს თავის მოსაზრებებს. "ამ მოხსენებაში მე მხოლოდ ნაჩქარევად მოვხაზე ფსიქოლოგიური მიმართულება, რომელიც მსურს მივცე სოციოლოგიას... არსებითად ფსიქოლოგია და ლოგიკა ასრულებენ, ან უნდა შეასრულონ, სოციოლოგიაში ისეთსავე როლი, როგორსაც მექანიკა ასრულებს ასტრონომიასა ან ფიზიკაში. რასაკვირველია, ისე როგორც ფიზიკასა და ასტრონომიაში ყველაფერი არ გაიგება მექანიკურად, ასევე ყველაფერი ამჟამად სოციოლოგიაში არ დაინახება ლოგიკურად და ფსიქოლოგიურად. მაგრამ თუკი ფიზიკის წარმატებები არსებითად დამოკიდებულია მექანიკური ახსნის სრულ განვითარებაზე, მაშინ სოციოლოგიის წარმატებებიც მთლიანად განპირობებულია მასში ახსნის ფსიქოლოგიური წესის სულ უფრო და უფრო მეტი განვითარებით".

3. რა არის საზოგადოება და რა ამოდრავებს მას?

ტარდის ზოგადსოციოლოგიური თეორიის გასაგებად აუცილებელია სოციალურის ტარდისეული გაგების საფუძველზე სოციოლოგიის ძირითად კატეგორიათა ანალიზი. ტარდი აღნიშნავდა, რომ სოციალურის თეორია ყოველთვის დაკავებული იყო ორი ძირითადი საკითხით – რა ამოდრავებს საზოგადოებას? და რა არის საზოგადოება? ეს ორი კითხვა ერთ განზომილებაში უნდა გადაწყდეს, რადგან საზოგადოების რაობა უნდა განსაზღვროს იმან, რაც მას ამოდრავებს. ზემოთ აღნიშნული ძირითადად ეხებოდა საზოგადოების არსებას, მიბადვის სახით. ის საზოგადოებისთვის

უნივერსალური აღმოჩნდა, რამდენადაც გამოგონება და აღმოჩენები, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების მოძრაობას, მიბაძვით არიან ფორმირებული და ამ გზით ახდენენ გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. თუ მიბაძვა სოციალურის გასაგებად ასეთი უნივერსალური გასაღებია, მისივე გზით უნდა აიხსნას საზოგადოება, როგორც ზოგად-სოციალური კატეგორია. ტარდის მიზანია, გაანალიზოს საზოგადოება, აჩვენოს, რა უნდა იყოს მის ფორმირებაში განსაზღვრელი. ამ მიზნით ის იყენებს ე. წ. გამორიცხვის მეთოდს, ანალიზებს საზოგადოების ეკონომიკურ, იურიდიულ, პოლიტიკურ გაგებებს და აჩვენებს, რომ არცერთ მათგანს არ ძალუძს საზოგადოების ახსნა და ყოველი მათგანის გამოყენების შემდეგ, კვლავ ღიად რჩება საკითხი. რა არის საზოგადოება? პირველ რიგში ანალიზებს ეკონომიკურ გაგებას. ამ თეორიის წარმომადგენლები კითხვაზე: რა არის საზოგადოება? უპასუხებენ – ესაა ინდივიდთა ჯგუფი, რომელნიც ემსახურებიან ერთმანეთს". ამ განსაზღვრების თანახმად საზოგადოება აერთიანებს როგორც ადამიანებს, ისე ცხოველებს, რადგან მათაც ახასიათებთ ურთიერთმიმართებები, ამდენად უმართებულოდ ფართოვდება საზოგადოების ცნება. ამ განსაზღვრების შეცვლა შეიძლება იურიდიულით, რომლის მიხედვით საზოგადოებას განსაზღვრავს არა ადამიანების ურთიერთსარგებლობა, არამედ ადამიანთა უფლება ერთმანეთზე, კანონებისა და ადათების საფუძველზე. თუ ეკონომიკური გაგება აფართოვდება საზოგადოების ცნებას, იურიდიული ზედმეტად ავიწროებს, ამდენად, ტარდისთვის ესეც მიუღებელია. ტარდის აზრით, შეიძლება სოციალური ჯგუფის წმინდა პოლიტიკური და რელიგიური განსაზღვრებანიც არსებობდეს. მაგ., ერთი პოლიტიკური გეგმის განმხორციელებლები და ერთმორწმუნენიც შეიძლება შეადგენდნენ საზოგადოებას, მაგრამ სოციალური კავშირი ამით არ განისაზღვრება, რადგან მათ გარეშეც არსებობს, რომ მივიღოთ კიდევ საზოგადოების ყველა ეს განსაზღვრება, აღმოჩნდება, რომ მათ საფუძველში იგულისხმება მიბაძვა, რომლის გარეშე მათ ვერ გავიგებთ. ურთიერთის მიმართ უფლებები ემყარება საერთო ტრადიციებსა და ჩვევებს, ესენი კი აღზრდის პროდუქტებია. აღზრდა მიბაძვის ერთ-ერთი ფორმაა – "იურიდიულ სოლიდარობას აქვს განსაკუთრებული სოციალური ფორმა, მაგრამ რატომ? იმიტომ, რომ ის გულისხმობს მსგავსებას, რომელიც მიბაძვითაა განპირობებული". (57, 65).

საზოგადოებას უფრო ისინი შეადგენენ, ვინც მსგავს ტრადიციებს იზიარებს, თუნდაც ისინი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, და არა ისინი, ვისაც ერთმანეთი სჭირდებათ. "საზოგადოება, ყოველდღიურ სიტყვათხმარებაში, შეიძლება ვუწოდოთ ადამიანთა ჯგუფებს, რომელნიც ერთნაირად არიან აღზრდილი, თუმცა განსხვავდებიან იდეებით და გრძნობებით, აქვთ ცხოვრების ერთნაირი საშუალება, ისინი ხვდებიან ერთმანეთს და გავლენას ახდენენ ერთმანეთზე". ეს საზოგადოების ყოველდღიური განსაზღვრებაა, რომელიც შემდგომ ანალიზსა და დაზუსტებას მოითხოვს. ეს დაზუსტება განხორციელდება იმით, რომ სოციალიზაცია, რომელიც საზოგადოების შედგენის აუცილებელი მომენტია, აიხსნება მიბაძვის კატეგორიით. სოციალური ჯგუფის შექმნა სოციალიზაციის შედეგია, ხოლო სოციალური ჯგუფი "იმ ადაიანთა საკრებულოა, რომელნიც მზად არიან, მიბაძონ ერთმანეთს და აქვთ მსგავსება საერთო ნიშნების საფუძველზე". მაგრამ ტარდი არ აიგივებს სოციალურ ჯგუფს და

საზოგადოებას, ამიტომ სოციალური ჯგუფის განსაზღვრება არ ნიშნავს საზოგადოების განსაზღვრებას. მოკლედ, საზოგადოებას და სოციალურ ჯგუფს ერთი საფუძველი აქვს – მიბაძვა. სოციალური ჯგუფებისაგან შედგება საზოგადოება. ჯგუფი, საზოგადოება, ხალხი, ერი – ყველა მიბაძვის საფუძველზე ვითარდება, ამ თვალსაზრისით, "თანასწორობა სხვა არაფერია, თუ არა ერთი იერარქიიდან მეორეზე გადასვლა". მაშასადამე, სოციალური ერთობის ყველა ფორმა, საზოგადოების ჩათვლით, გამოცხადებულია მიბაძვის შედეგად, ხოლო მიბაძვის ასახსნელად, ტარდის აზრით, სოციოლოგმა სიტყვა უნდა მისცეს ფსიქოლოგს. აზრის ორგანო, ტვინის სახით, მიბაძვითი და სოციალურია. ყოველი აზრის შექმნა მიბაძვა და განმეორებაა, ისე როგორც მეხსიერება ჩვევად ქცეული თავისთავისადმი არაცნობიერი მიბაძვაა, მაგრამ ინდივიდუალური ფორმით, აზრი და მეხსიერება არ არის სოციალური. იგი არის წინასოციალური და ქვესოციალური მიბაძვა. თუ ის, რასაც ერთი ტვინი და მეხსიერება აკეთებს, მეორდება მეორე ტვინსა და მეხსიერებაში, ეს იქნება სოციალური მიბაძვა. სოციალური ცხოვრება – ესაა ერთი პიროვნების ზეგავლენა მეორეზე. ის სომნამბულიზმის და ჰიპნოზის იგივეობრივია, რადგან ყველა იდეა ადამიანებს მიღებული აქვთ შთაგონებით, თუმცა მათ აქვთ ილუზია, რომ საკუთარი ნებელობით ქმნიან. თუ ისტორიას გადავხედავთ, ყველა წარსული კულტურა თავის თავს ავტომატურად მიიჩნევდა, მაგრამ ფაქტობრივად ავტომატები იყვნენ, რომლის ზამზარას მართავდნენ: ბელადები, წინასწარმეტყველები, წინაპრები. თანამედროვე ადამიანი ფიქრობს, რომ ის არაა ასეთი მიმბაძველი და უფრო დამოუკიდებელია, მაგრამ ეს ილუზიაა. მიბაძვის მხრივ, თანამედროვე ადამიანი არ განსხვავდება წინაპრისაგან. როგორც წარსულ, ისე თანამედროვე საზოგადოებაშიც, უმარტივესი უჯრედი ოჯახია. ოჯახიდან იწყება მიბაძვის ინსტიტუტი. შვილისთვის მამა ნიმუშია, ავტორიტეტია, ბატონია. საზოგადოების უფრო დიდი უჯრედებიც აგებულია ავტორიტეტის პრინციპზე, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც პოლიტიკური ბატონობის და ტერორის შედეგი. ტერორი არ ქმნის ავტორიტეტს, ვინმე მეუფეა მისი ხიბლის გამო, მომხიბვლელობა აძლევს მას ძალას და ხდის მიმზიდველს. ასეთ შემთხვევაში ადამიანი ემსგავსება სომნამბულს, რომელიც ავტომატურად აღადგენს მეორე ადამიანის მოქმედებას, თვისებებს, ხასიათს და სხვა. საზოგადოების განვითარების დაბალ საფეხურზე ცალსახა მომხიბვლელობა ჭარბობს. იქ არაა ურთიერთქმედება. განვითარებულ საზოგადოებაში პროცესი რთულდება და მომხიბვლელობას ცვლის სიმპათია, რომელიც ურთიერთქმედებას გულისხმობს. მომხიბვლელობა ახასიათებს: იდეებს, ტრადიციებს და ყველა სოციალურ ფენომენს, რომელსაც შეუძლია შთააგონოს ადამიანის მოქმედება. მიმბაძველობა ხალხებს შორისაც არის. მიმბაძველობის ძალა იმდენად დიდია, რომ მაშინაც, როდესაც იცვლება იდეები, პიროვნებები, რომელთაც ბაძავენ, არ იცვლება ადამიანის მიდრეკილება, ექვემდებარებოდეს იდეას, ტრადიციას, პიროვნებას და ეძებს კერპებს. მოკლედ, აქ ტარდი ახასიათებს ადამიანთა ურთიერთობის იმ ფორმას, რომელსაც გაუცხოებას უწოდებენ და მას თვლის სოციალურის ძირითად თვისებად, რადგან, სანამ ადამიანი ადამიანია, ის საზოგადოებაშია, ხოლო საზოგადოება არ არსებობს მიბაძვის გარეშე, შეცვლილ სიტუაციაშიც "ციებ-ცხელებით შეპყრობილი არსებანი

აუცილებლად ექვემდებარებიან ახალი გარემოს მომხიზვლელობას, მათ სწამთ ყველაფრის, რასაც ხედავენ, რომ სხვები აკეთებენ. დამოუკიდებლად ფიქრი უფრო დამქანცველია, ვიდრე სხვების დახმარებით". შთაგონების წყარო ხდება ყველა სახის გართობა, რომელიც ასე იზიდავს ადამიანებს. ეს ყველაზე კარგად ჩანს ქალაქის ყოფაში, რომელიც სოციალური ცხოვრების უპირატესი ფორმაა. შთაგონება სათავეს იღებს იერარქიის ზედა საფეხურიდან, სულ უფრო ქვემოთ ეშვება და ფართოვდება. მომხიზვლელად მოქმედი ადამიანი იმპულსის წყაროა. ამ იმპულსს ათასობით ადამიანი აღიქვამს და შემდეგ თავის მხრივ ზემოქმედებენ მილიონობით სხვა ადამიანებზე. ის ფაქტი, რომ ზოგჯერ მიბადვისას ავტორიტეტი იცვლება ან გარკვეული გაუბედაობა წარმოიქმნება, მიბადვის წინააღმდეგ კი არ მეტყველებს, არამედ მის საყოველთაოობაზე. თუ ტარდისეულიად დავაჯამებთ ზემოთ ნათქვამს, ის ასეთ ფორმას მიიღებს: "საზოგადოება მიბადვია, ხოლო მიბადვა კიპნოტიზმის სახეობაა". ამ დასკვნის მიღებაში განმსაზღვრელია ფსიქოლოგიური ანალიზი, ე. ი. სოციოლოგია ემყარება ფსიქოლოგიას. მიბადვით სოციალურ ურთიერთობათა ახსნის შემდეგ ტარდი მიმართავს ისტორიას და ასაბუთებს, რომ ისტორიის ახსნის არცერთი სხვა გზა არაა მისაღები, გარდა იმისა, რომელიც მიბადვიდან გამომდინარეობს. ტარდი განსაკუთრებით ებრძვის პოლიტიკურ ისტორიოგრაფიას, რომლის ამოსავალია პოლიტიკური ძალაუფლებისა და მოღვაწეობის დომინანტობის აღიარება. ყველა აქცია ომები, ხელშეკრულებები, გეგმები, კანონები, ისე როგორც პოლიტიკური გადატრიალებანი "ისტორიაში თავის ადგილს იკავებენ იმისდა მიხედვით, რამდენად უწყობენ ხელს ერთ გამოგონებათა გამოდევნას და მეორეთა დანერგვას... ისტორია ჩვეულებრივ სხვა არაფერია, თუ არა გამოგონებათა მხრივ ხელისშეწყობა, ან ხელისშეშლა იმ გამოგონებების ერთობლიობის მიმართ, რომელნიც განუსაზღვრელი მიბადვისათვის არიან გამიზნული და არიან სასარგებლო".

ტარდი ითვალისწინებს ისტორიის ასეთი გაგების საწინააღმდეგო მოსაზრებებს. შეიძლება თქვან, ადამიანი აკეთებს იმ აღმოჩენას, რომელზეც მოთხოვნილებაა, გენიოსი იბადება, როცა შესაბამისი სიტუაცია იქმნება, ამიტომ განმსაზღვრელია მოთხოვნილება. გარდა ამისა, შეუძლიათ თქვან, რომ მიმბადველობა გამოწვეულია არა სიამოვნებით, არამედ მოთხოვნილებით, თანაც ბაძავენ არა ყველა იდეას და გამოგონებას, არამედ მხოლოდ იმას, რომელნიც ჭეშმარიტი და სასარგებლოა. მაშასადამე, მიმბადველობა განსაზღვრულია მოთხოვნილებებით, ჭეშმარიტებისადმი ლტოლვით და სარგებლიანობით. ტარდის აზრით, ეს შეპასუხება არ ითვალისწინებს იმ ვითარებას, რომ ყოველ მოთხოვნილებას წინ უსწრებს იმ აღმოჩენის იდეა, რომელზეც მოთხოვნილება ჩნდება. იდეის გარეშე არაა მოთხოვნილება მისი რეალიზაციის განმაპირობებელია. სირცხვილის გრძნობა წარმოიშვა ტანსაცმლის შექმნის შემდეგ. ტანსაცმელი, რომელიც სხეულის ამა თუ იმ ნაწილს ფარავს, უხერხულოდ აქცევს ამ სხეულის გაშიშვლებას. მაშასადამე, ტანსაცმელზე მოთხოვნილებას განაპირობებს ტანსაცმლის გამოგონება. მაშასადამე, გამოგონებანი სოციალურ საჭიროებათა შედეგი კი არაა, არამედ მათი მიზეზი. თავის მხრივ, ყოველ აღმოჩენას და გამოგონებას საფუძვლად უდევს მიბადვა. ამ გზით წარმოიქმნება

მიზანძვრათა რიგი, რომელთაც არა აქვთ მათგან განსხვავებული საფუძველი, რადგან მიზანძვრა ერთადერთია, „რომელიც თავის თავიდან წარმოიშობა“.

4. არქეოლოგია და სტატისტიკა როგორც სოციოლოგიის მეთოდები.

ტარდის აზრით, ამ პრინციპის ყველაზე კარგი დადასტურებაა არქეოლოგია. არქეოლოგიამ არა მარტო ისტორიას მიანიჭა მეცნიერულობა, "არქეოლოგები ქმნიან ნამდვილ სოციოლოგიასაც". არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი მუმიები მათ არაფერს ეუბნებიან, მაგრამ ისინი ეძებენ იდეებს და გამოგონებებს, რომლითაც ესა თუ ის ეპოქა ხასიათდებოდა. "არქეოლოგისათვის ისტორია ესაა ორიგინალურ იდეათა, მოთხოვნილებათა, ერთი სიტყვით, გამოგონებათა და აღმოჩენათა აღმოცენება და განვითარება, მათი ურთიერთდაპირისპირება ან თანაქმედება, ისინი იკავებენ დიდ ისტორიულ პიროვნებათა ადგილს, რადგან წარმოადგენენ საკაცობრიო პროგრესის ნამდვილ მამომრავებელს". ძნელი დასანახი არაა, რომ ტარდი აქ ხელოვნურად ეძიებს მოთხოვნილებათა განმსაზღვრელს აღმოჩენასა და მიზანძვრაში. ფაქტობრივად, მოთხოვნილება განსაზღვრავს გამოგონებას და გამოგონება ქმნის მიზანძვის საფუძველს. ტარდი ცდილობს, გამოგონების იდეის, გამოგონებისაგან განსხვავებით, მოთხოვნილების განმსაზღვრელი მონახოს, მაგრამ ეს არაა გამოსავალი, რადგან იდეაც სწორედ მოთხოვნილების შედეგად წარმოიშობა. ელექტროობის იდეა მასზე მოთხოვნილებამ შექმნა. მართალია, ყველა იდეა არ რეალიზდება, იდეები, რომლებზეც ამა თუ იმ ეპოქაში არაა მოთხოვნილების პირველადობის წინააღმდეგ, არამედ მის სასარგებლოდ. ადამიანი პრაქტიკული არსებია. შემეცნების წყარო სწორედ პრაქტიკული მოთხოვნილებებიდან მომდინარეობს, შემეცნების გარეშე კი იგი არ არსებობს. ამიტომ, ყოველივეს და მათ შორის იდეასაც მოთხოვნილება განსაზღვრავს. ტარდის აზრით, პასუხი კითხვაზე, რა არის ისტორია? სრულყოფილი მაშინ იქნება, თუ არქეოლოგიის გარდა სტატისტიკასაც გავაანალიზებთ და ვაჩვენებთ სოციოლოგიური სტატისტიკის მნიშვნელობას მიზანძვის ახსნის საქმეში. მისი მტკიცებით, სტატისტიკა, არქეოლოგიის მსგავსად, დასაქმებულია გამოგონებითა და მათი მიზანძვითი კვლავწარმოებით, განსხვავება ისაა, რომ არქეოლოგიას საქმე აქვს მკვდარ და ამოწურულ გამოგონებებთან, სტატისტიკას ცოცხალ და ახალ გამოგონებებთან, რომელთაც გავრცელება მომავალში მოელოთ. "პირველი სოციალური პალეონტოლოგიაა, მეორე სოციალური ფიზიოლოგია". სოციოლოგიური სტატისტიკა სოციალურ ფაქტთა გაზომვა-გამოთვლაა. ის სოციოლოგს ეხმარება, გაზომოს განსაკუთრებული რწმენანი, სურვილები და ამარაგებს მას ისეთი ხერხებით, რომლებიც დაეხმარება სოციოლოგს ამ ძნელად დაკვირვებად ფაქტთა ახსნაში. ტარდის აზრით, სოციოლოგიური სტატისტიკა გვამღვს საშუალებას იდეათა და მოთხოვნილებათა წვდომისას, რომლებიდანაც იშლება ყველა სოციალური რეალობა, რომელთაც ვუწოდებთ ჩვევებს, დაწესებულებებს, ენას, კანონმდებლობას, რელიგიას, მეცნიერებას, მრეწველობას და ხელოვნებას. სოციალური რეალობანი, გამოგონებანი და აღმოჩენები სამ სტადიას გადიან – პირველი აღმოჩენების საწყისი, როცანელა პროგრესირდებიან, მეორე – შუა ფაზა, სწრაფი და დაჩქარებული ტემპი და მესამე,

პროგრესის ტემპის შენელება შეწყვეტამდე. ისე როგორც არცერთ ცოცხალ არსებას არ შეუძლია არსებობა ამ სამი საფეხურის გარეშე, სოციალური რეალობებიც არ არსებობს მათ გარეშე. პროგრესი თავისი ფორმით ბორცვისებურია, მას განსაზღვრავს კანონები, რომლებიც შეიძლება გავიგოთ, როგორც კოლექტიური ნებელობის აღზნებანი. სოციოლოგიური სტატისტიკა არის სწორედ ამ პროცესთა შესწავლის გზა. ის სწავლობს მიბაძვას, მის კანონებს და აკეთებს შედარებით ანალიზს. ის სოციოლოგიის თვალი და ყურია. სტატისტიკის შესაძლებლობანი არაა სრულად გამოყენებული, თავის შესაძლებლობებს ის მომავალში გამოავლენს, მიუხედავად ამისა, ტარდის აზრით, სტატისტიკის მნიშვნელობის გაზვიადება არ შეიძლება; სწორედ ასეთ გაზვიადებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ფიქრობენ, რომ დადგება მომენტი, როცა ყველა მოვლენა დაყვანილი იქნება მათემატიკურ ფორმულებზე და სტატისტიკას ექნება საშუალება, მომავალი ისეთივე სიზუსტით განსაზღვროს, როგორც ამას აკეთებს ასტრონომია პლანეტების მოძრაობის მიმართ, მაგრამ ეს დაუჯერებელია, რადგან სტატისტიკას ძირითადად საქმე აქვს მიბაძვასთან, აღმოჩენანი და გამოგონებები მისთვის აკრძალული ზონაა, მომავლის განსაზღვრებაში კი ძირითადი იქნება სწორედ აღმოჩენანი და გამოგონებანი, სტატისტიკა არ იცნობს და ისინი კანონებს არ ექვემდებარებიან. მომავლის განზომილებაში გამოგონებათა მიმართ მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ყოველი ერი გარკვეული მომენტის შემდეგ ამოწურავს გამოგონებისა და აღმოჩენის უნარს, ამიტომ ყოველი ცივილიზაცია მიაღწევს საზღვარს, რომლის შემდეგ ის წრეში იბრუნებს. როგორც ჩანს, ტარდი იზიარებს ცივილიზაციათა წრებრუნვის თეორიას. ყოველივე ზემოთქმული ტარდს დასჭირდა იმის გასამართლებად, თუ რა არის ისტორია. თუ ტრადიციულად ფიქრობდნენ, რომ ისტორია დიად საქმეთა ერთობლიობაა, ტარდი ამტკიცებს, რომ ისტორია ის საქმეებია, რომელთაც დიდი წარმატება ჰქონდათ, ესე იგი ისეთი სიახლენი, რომელთაც ყველაზე მეტად ბაძავდნენ. ტარდის მიხედვით, მოვლენა რომ ისტორიული იყოს, ის უნდა ექვემდებარებოდეს სამიდან ერთ-ერთ პირობას: პირველი უნდა იყოს მიბაძვის რომელიმე სახეობის პროგრესი, მეორე უნდა იყოს მიბაძვათა კომბინაცია, რომელსაც ეწოდება გამოგონება და რომელიც თავის მხრივ იწვევს მიბაძვას, მესამე უნდა იყოს ადამიანთა მოქმედებანი, რომელნიც გავლენას ახდენენ მიბაძვის მნიშვნელობაზე და ცვლიან მას. დასკვნა "ერთადერთია, რაც ისტორიას აინტერესებს, მიბაძვის ხვედრია" და ესაა "ისტორიის ჭეშმარიტი განსაზღვრება".

5. სოციალურ კანონები: ლოგიკური და გარელოგიკური .

დავუბრუნდეთ ტარდის მიზანს: მან უნდა ააგოს ზოგადსოციოლოგიური თეორია, რომელიც სოციოლოგიას გაათავისუფლებს ფიზიკალიზმისა და ბიოლოგიზმისაგან და შესაძლებელს გახდის, სოციოლოგია იყოს სრულუფლებიანი სხვა მეცნიერებათა გვერდით. ტარდის აზრით, თანამედროვე ვითარება სოციოლოგიას ამსგავსებს იმ ჩვილს, რომელიც "მონათლულ იქნა დაბადებამდე". ტარდის ამოცანაა, "მისცეს მას საბოლოო დაბადების საშუალება". ეს ნიშნავს, დადგინდეს სოციალური ფაქტი და მისი განმსაზღვრელი კანონები. ზემოთ აღნიშნული ეხებოდა სოციალური ფაქტის

გარკვევას, რომლის დასკვნა ასეთია: "მიზანშეწონილი სოციალური ცხოვრების არსებობა". ამის დადგენით სოციოლოგიის დამოუკიდებლობის გზაზე გადადგმულ იქნა პირველი ნაბიჯი, გაირკვა სოციალური ფაქტის ბუნება და ტარდი დგამს მეორე და გადაამწყვეტ ნაბიჯს, ის ცდილობს დაასაბუთოს, რომ მის მიერ სოციალურ ფაქტად მონათლული სინამდვილე ისევე ექვემდებარება კანონებს, როგორც ყველა სხვა რეალობა. ამიტომ ეძებს სოციალური ფაქტის განმსაზღვრელ კანონებს. მისი მტკიცებით, "უნდა განისაზღვროს ზოგადმეცნიერული კანონები (ამ სახელწოდების ღირსნი), რომელნიც მართავენ ყოველგვარ მიზანშეწონილს". ამდენად, ამოცანაა, განსაზღვროს მიზეზები, რომლებიც ზოგ სიახლეს უამრავ მიმდევარს გაუჩინენ, ზოგს კი დასავიწყებლად გასწირავენ. აქ შეიძლება განვასხვავოთ მიზეზთა ორი რიგი: ფიზიკური და საზოგადოებრივი. ტარდის მტკიცებით, მას ფიზიკური მიზეზები არ აინტერესებს. იგი როგორც სოციოლოგი, მხოლოდ საზოგადოებრივი მიზეზებითაა დაკავებული. ეს მიზეზები არსებითად სოციალური კანონებია, რადგან სოციალური ფაქტის განმსაზღვრელი არიან. ამრიგად, მიზანშეწონილი კანონები სოციალური კანონებია, რომლებიც სოციოლოგიას ხდიან მეცნიერებად. ტარდის აზრით, მიზანშეწონილი სოციალური კანონთა რიგი ორი სახისაა: ლოგიკური და გარეშელოგიკური თუ არალოგიკური. ლოგიკური მიზეზებით ადამიანი ღებულობს სიახლევებს, იმიტომ, რომ ისინი ევლინება ჭეშმარიტად, ან სასარგებლოდ, მათი აღმოცენების დროისა და სივრცის მიუხედავად. არალოგიკურია, როცა გარკვეული ნიმუშის მიხედვით მოქმედებს ადამიანი მიზანშეწონილად, თუმცა ის ნიმუში არაა ხელსაყრელი და შეიძლება არც ჭეშმარიტია, მაგრამ დრო-სივრცული მიმართებით მასთან ახლოსაა. როგორც აღვნიშნეთ, სოციალური პროცესი, ტარდის მიხედვით, ორი მომენტისაგან შედგება: გამოგონების და მიზანშეწონილი. გამოგონებასაც მიზანშეწონილი განსაზღვრავს. თვით მიზანშეწონილი კი არაფერითაა განსაზღვრული, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გამოგონება არ არის, მისაბამი არაფერი იქნება. ამიტომ ტარდი სოციალურის არსებად ხან მიზანშეწონილს აცხადებს, ხან კი გამოგონებასა და მიზანშეწონილს, მათ თვლის "ელემენტარულ საზოგადოებრივ პროცესად". იგი სვამს საკითხს გამოგონებისა და მიზანშეწონილი სუბსტანციის შესახებ: რას გამოიგონებენ და რას ბაძავენ. ტარდის ფსიქოლოგიზმი აქაც ვლინდება. მისი აზრით, რაც გამოიგონება და რასაც ბაძავენ, სხვა არაფერია, თუ არა იდეა, ან სურვილი, მსჯელობა ან განზრახვა, რომელშიც ვლინდება რწმენა და ნება. რწმენა თუ მრწამსი და სურვილი თუ ნებელობა, ესაა ყველა სოციალური სფეროს მოვლენათა არსება. "რწმენა და სურვილი, ესაა არსება. სუბსტანცია და ძალა ორი ფსიქოლოგიური სიდიდეა, რომელიც საფუძვლად უდევს მათთან კომბინირებულ ყველა გრძნობად მოვლენას". ესენი სუბსტანციაა, რადგან მათ საფუძველზე იქმნება ყველა საზოგადოებრივი მოვლენა. "საზოგადოებრივი რწმენით, თანხლებით თუ უთანხმოებით ორგანიზდება... საზოგადოებრივი სწორედ რწმენათა და მოთხოვნილებათა თანხმობა – უთანხმოებით ფუნქციონირებს. რეწლიგიური, ზნეობრივი, იურიდიული, პოლიტიკური, ლინგვისტური რწმენანი საზოგადოების პლასტიკური ძალებია". მრწამსი ყოველი საზოგადოებრივი პროგრესის მამოძრავებელია და ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებათა არსებობა. ყოველი მამოძრავებელი სურვილის ჭეშმარიტი მიზანი რწმენაა. ამიტომ, რაც უფრო

ვითარდება საზოგადოება, მით უფრო კარგავს მამოძრავებელ ძალებს, რადგან მოძრაობის მიზანი ხორციელდება და მით უფრო ძლიერია რწმენა. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი პროცესი დაგროვებისა და ცვლილების გზით ხორციელდება. საზოგადოებაში გამოგონებანი და აღმოჩენანი გროვდება და იცვლება. მათი დამახასიათებელია შემოქმედება და კრიტიკა. როგორ გავიგოთ საზოგადოებრივი ლოგიკის კატეგორია, რომელიც იდეათა ცვლაში გამოიხატება, გამოგონება სურვილის შედეგია. სურვილი იმედითა და შიშით ხასიათდება. ეს უკანასკნელი მტკიცება უარყოფაა, ე. ი. მსჯელობის ფორმას ღებულობს. ამ თვალსაზრისით, საზოგადოებრივი ცხოვრება იმედითა და შიშითა მუდმივი დაპირისპირებაა, რომელიც თან ახლავს ახალ იდეებს. ამ იდეათა გზით წარმოიშობა ახალი მოთხოვნილება. საზოგადოებრივი წარმატება გულისხმობს დანერგვასაც და უარყოფასაც, ახალი ინერგება, ძველი უარიყოფა, მაგრამ შიშველი უარყოფა ვერ უზრუნველყოფს პროგრესს. უარყოფილმა უარყოფილის ადგილას უნდა წამოაყენოს ახალი იდეა. ტარდი დაწვრილებით აანალიზებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ლოგიკური პაექრობის, ანუ უარყოფის ფორმათა მოქმედებას და მიუთითებს, რომ ასეთი ფორმა სამია. ერთ შემთხვევაში უარყოფელი უარსაყოფს სპობს საკუთარი არგუმენტაციით ძალადობის გარეშე, მეორე შემთხვევაში ერთ-ერთი მეტოქე გამოიყენებს ძალას და აიძულებს მეორეს, დათმოს პოზიცია, მესამე შემთხვევაში მეტოქენი მორიგდებიან, ან ერთი მეორეს ნებაყოფლობით უთმობს ადგილს. ტარდს ეს უკანასკნელი ყველაზე მეტად იზიდავს, თუმცა აღნიშნავს, რომ ისტორიაში ყველა გზა გამოიყენება, ამიტომაც ისტორია ტრაგედიათა და კომედიათა ჯაჭვი. ზემოთ მოცემული დახასიათება ეხებოდა ისეთ გამოგონებებს და აღმოჩენებს, რომელნიც ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ, მაგრამ არის გამოგონებანი და აღმოჩენანი, რომელნიც ერთმანეთს ადასტურებენ და ამოძრავებენ. ისინი ერთიანდებიან და გროვდებიან. მათაც გააჩნიათ შესაბამისი ლოგიკური კანონები. არის გამოგონებანი, რომელნიც გარკვეული მომენტიდან უნდა შეიცვალოს. მაგალითად, ენაში სიტყვების მარაგი შეიძლება უსასრულოდ იზრდებოდეს, მაშინ როცა გრამატიკის ზრდას აქვს საზღვრები. ასევეა რელიგიაშიც: მითები, რომლებიც უსასრულოდ იზრდება და დოგმატიკა, რომელიც უნდა შეიცვალოს გარკვეულ მომენტში. ეს პრონციპები მიუდგება ცივილიზაციებსაც, რომლებიც აერთიანებენ ზნეობრივ-ესტეტიკურ მიზნებს და სამრეწველო საშუალებებს. ამრიგად, პროგრესის განხორციელების ორი ფორმაა: დაგროვება და შეცვლა. ყოველი მათგანი საზოგადოებრივი ცხოვრების კანონია. ტარდის აზრით, გამოგონებას და აღმოჩენებს სოციალური პათოლოგიის მკურნალის ფუნქცია ეკისრებათ. "აღმოჩენები და გამოგონებანი საზოგადოებრივ დაავადებებს მკურნალობენ ერთი ფორმის მეორე, ნაკლებ მტკივნეულით შეცვლით". ლოგიკური კანონების შემდეგ დახასიათებულია არალოგიკური კანონები, აქაც გარკვეული კანონზომიერება ვლინდება, რომელიც განმსაზღვრელია საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, მათი ანალიზისათვის აუცილებლად თვლის, კიდევ ერთხელ დაუბრუნდეს მიბაძვის დახასიათებას, რადგან მიბაძვა გვაორიენტირებს სოციალურში. ის არა მარტო ძირითადი სოციალური ფაქტია, არამედ ცივილიზაციის ნიშანიცაა. მისი განვითარება წინ უსწრებს გამოგონებებსა და აღმოჩენებს. მიბაძვა შეიძლება იყოს ბუნდოვანი, ან ნათელი,

ცნობიერი ან არაცნობიერი, განსჯათი ან თვითნებური, ნებაყოფლობითი ან იძულებითი. იგი შეიძლება ხორციელდებოდეს წინაპრების, ან თანამედროვეების მიმართ, შეიძლება იყოს შინაგანის, ასევე გარეგანის მიმართ. ტარდის აზრით, ლოგიკურის გარეთა მიბაძვები ორ ჯგუფად იყოფა: ნდობა და დამორჩილება, მიბაძვა რწმენის სურვილისა. მიბაძვა ერთი ადამიანისა მეორესადმი, ერთი კლასისა მეორე კლასისადმი, ქცევით დაწყებული და ჩაცმულობით დამთავრებული, გარეგნული მოვლენებით დაწყებული და სიღრმისეულით დამთავრებული, ხდება იმიტომ, რომ ამ სუბიექტმა თუ სოციალურმა ჯგუფმა უკვე ისესხა სხვა სუბიექტის, თუ სოციალური ჯგუფის გრძნობები და მოთხოვნილებანი. დამორჩილება და რწმენა მიბაძვის გამოხატვაა და ურთიერთგანპირობებული სოციალური დახასიათებაში ტარდი არ სცილდება ფსიქიკურის სფეროს. ტარდი მიბაძვის ერთ-ერთ კანონზომიერებად მიიჩნევს შინაგანიდან გარეგანისაკენ სვლას, ე. ე. ჯერ ბაძვენ იდეას, მერე კი მის გამოვლენას, ჯერ მიზანს და მერე საშუალებას. არალოგიკურის სფეროს მიბაძვის ერთ-ერთი კანონია დაბალის მიერ მაღალისადმი მიბაძვა. ამან წარმოშვა საზოგადოების იერარქია და შექმნა უთანასწორობის საფუძველი, რადგან შინაგანი ბაძვდა გარეგანს. ამან ხელი შეუწყო დაბლიდან მაღლისაკენ სვლას. თუმცა ლოგიკურობას ყოველთვის არა აქვს ადგილი. ზოგჯერ განურჩეველია, ვინაა იდეის ავტორი, ქრისტიანობა მონებმა გაავრცელეს, მაგრამ მათ სხვებმაც მიბაძეს. ე. ი. მიბაძვაში არის არა მარტო დაბალის ლტოლვა მაღლისაკენ, არამედ პირიქით ტენდენციაც. "არა მარტო მაღალია ნიმუში დაბლისათვის, პატრიცი პლემბისათვის, აზნაური გლეხისთვის, სასულიერო წოდება საეროსთვის, პარიზელი – პროვინციელისათვის, ქალაქელი სოფელელისათვის, არამედ დაბალიც, თუმცა გაცილებით უფრო ნაკლები ზომით". ტარდის აზრით, მიბაძვას განსაზღვრავს სიყვარულიც. ვისაც უყვარს, ის ბაძვს იმას, ვინც უყვარს, თუმცა ეს არაა აუცილებელი, გლეხებიც ბაძვენ ერთმანეთს, დამარცხებულები გამარჯვებულებს. ტარდის აზრით, ხელოვნება რელიგიისაგან მომდინარეობს და სასახლეები კი არ განაპირობებენ ცივილიზაციის გავრცელებას, არამედ ტაძრები, სადაც არისტოკრატიაა, იქ წარჩინებულებისადმი მიბაძვის მიდრეკილებაა, სადაც დემოკრატიაა, ბრმა რწმენა მცირდება, მაგრამ სამაგიეროდ იზრდება მასებისადმი რწმენის მისწრაფება და განმსაზღვრელი ხდება საზოგადოებრივი აზრი. მთავარია, რომ "როგორც არ უნდა იყოს საზოგადოების ორგანიზაცია, თეოკრატიული, არისტოკრატიული, დემოკრატიული, მიბაძვა ყოველთვის ერთ კანონს ექვემდებარება, ზემოდან ქვემოთ ვრცელდება და შიგნიდან გარეთ". მიბაძვის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად ტარდი მიიჩნევს გაგებადობას. ე. ი. ბაძვენ იმას, რაც ესმით, გაცნობიერებული აქვთ ამ მიბაძვის სიკეთე. მიბაძვა ტარდისთვის სოციალურის არსებაც არის და უნივერსალური გასაღებიც. ტარდის ანალიზი ეხება სოციალური ცხოვრების ყველა მხარეს, დაწყებული ჩვევებით და მოდით, დამთავრებული კანონმდებლობით და ეკონომიკით, ყველა სფეროში განმსაზღვრელია მიბაძვა. მიბაძვის საგანი ხდება სიახლე, ის შეიძლება იყოს ტრადიციული, ან თანამედროვე, მიბაძვით ვრცელდება იდეები. მათი გავრცელების ორი გზაა: ავტორიტეტი და რწმენა, პირველი ისტორიულად წინ უსწრებდა მოერეს. მართლაც, მასობრივი ცნობიერების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი მიბაძვაა. ადამიანი აკეთებს რაღაცას იმიტომ, რომ სხვამ

გააკეთა. მასის მოქმედება ისეთია, რომ ინდივიდი საკუთარი გადაწყვეტილებით მას არ ჩაიდენდა, მაგრამ მასა ეფერება სხვას და ნიველირებულია სხვის ქცევაში. ეს ფენომენი სოციალურ ფსიქოლოგიას განასხვავებს ინდივიდუალურისაგან, სოციალურ მეცნიერებაში კი ცნობილია გაუცხოების ყველა ფორმით. მისი განმსაზღვრელი მიბაძვაა. საერთოდ, გაუცხოების ყველა ფორმაში, როდესაც ადამიანი ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას თავიდან იცილებს, იმით, რომ სხვისი ქცევისაგან არაფრით არ გამოარჩევს თავის ქცევას, ე. ი. იქცევა ისე, როგორც ყველა სხვა, ეს მიბაძვის ბატონობის შედეგია: ფაქტია, რომ ინდივიდუალიზმის ეპოქას სულ უფრო ძლიერ ცვლის მასების ეპოქა, როდესაც მასობრივი ცნობიერება ბატონდება, მისი არსებითი ნიშანი კი მიბაძვაა. ამდენად, ტარდმა სოციალური ცხოვრების ეს ნიშანი და მისი განვითარების მიმართულება სწორად შეამჩნია, მაგრამ ტარდის შეცდომა ისაა, რომ ყველაფერი დაიყვანა მიბაძვაზე და ყველა სოციალური ფაქტის ახსნა მიბაძვით სურს. ტარდის მეორე არსებითი შეცდომა ისაა, რომ სოციალურის სფეროში ცნობს მხოლოდ ურთიერთობათა ერთ იდეურ ფორმას და სოციალურის ერთადერთ მამოძრავებელ ძალას იდეის სახით. მისთვის არ არსებობს მატერიალური ურთიერთობანი, ამიტომ ლაპარაკი ზედმეტია მათ ღირებულებაზე. სოციალურში ის ვერ ხედავს მატერიალურ ძალებს. ტარდის თეორია იდეათა გაფეტიშებაა. მართლაც, ის ემიჯნება ბიოლოგიზმს, ფიზიკალიზმს და ამდენად სოციოლოგიის განვითარებაში წინ დგამს ნაბიჯს, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს მას იმ მოვალეობისაგან, რომ სოციალურის ანალიზში ხედავდეს არა მარტო სულიერ, არამედ მატერიალურ პროცესებს და ძალებსაც.

ზემოთ განხილული ტარდის თეორიის ბირთვია. ტარდი ამ საფეხურზე არ შეჩერებულა. იგი ფიქრობდა, მის თეორიას გაგრძელება სჭირდებოდა. ამ მიზნით შექმნა მეორე შრომა – "სოციალური ლოგიკა", რომლის შესახებაც აღნიშნავდა: "ეს შრომა გაგრძელება და დამატებაა ზოგადი სოციოლოგიის იმ ნარკვევისა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გამოვეცი სათაურით: "მიბაძვის კანონები", ამ ნარკვევების ერთი თავი – "მიბაძვის ლოგიკური კანონები", მოთავსებული იყო იქ იმისათვის, რომ ყოფილიყო მკავშირეობელი რგოლი ნარკვევსა და ამ წიგნს შორის. ამ ნარკვევში განხილული იყო სოციალურ ნივთიერებათა შექმნის საკითხები, ეს წიგნი კი მიეძღვნება იმას, როგორ ხდება ამ ნივთიერების ორგანიზება, როგორ იკერება ეს ქსოვილი". გამოდის, რომ ტარდის თეორიის სრულყოფილად გადმოცემისათვის აუცილებელია მისი "სოციალური ლოგიკის" განხილვა. მაგრამ სინამდვილეში ამის აუცილებლობა არაა, რადგან "სოციალური ლოგიკა" "მიბაძვის კანონების" თუ "სოციალური კანონების" (ამ ორი სათაურითაა ამ წიგნის სხვადასხვა გამოცემა) უბრალოდ გაფართოებული და გაშლილი წარმოდგენაა. მხოლოდ წინასიტყვაობაში დგას განხილვის ცენტრში სოციალური და მისი ძებნა ნაცადია სურვილებსა და რწმენებში, რომელნიც მიბაძვის გარეშე არ ფიგურირებენ. ამიტომ საბოლოოდ იმავე სქემას უბრუნდება, რაც ძირითად შრომაში იყო. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მეორე წიგნი პირველი წიგნის ორი ბოლო თავის გაფართოებული რეპროდუქციაა. შეიძლება ერთ გარემოებას მიექცეს ყურადღება – გამიჯვნას სოციალურ ფსიქოლოგიასა და ინდივიდის ფსიქოლოგიას შორის, ნაჩვენებია მათი ფენომენების განსხვავებული

ფუნქციობა, რომელიც არ შეესაბამება პირველ წიგნში გამოცხადებულ მოსაზრებას ერთი ფსიქოლოგიის შესახებ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირველ წიგნშიც იყო ლაპარაკი ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას შორის განსხვავებაზე.

6. პუბლიკა და საზოგადოებრივი აზრი.

ამის მიუხედავად, ტარდის თეორიის განხილვა აღნიშნულით არ შემოიფარგლება, რადგან ზოგადსოციოლოგიური თეორიის გარდა ტარდს აქვს დარგობრივ-სოციოლოგიური გამოკვლევები. განსაკუთრებით სოციალური ჯგუფების, ბრბოსა და პუბლიკის, საზოგადოებრივი აზრის, დამნაშავეობის, ოჯახის და პრესის სოციოლოგიის და სხვა, რომლის ნაწილობრივი განხილვა მაინც აუცილებელია ტარდის თვალსაზრისის განხილვის მიზნით. ტარდი თავისებურად აგრძელებს იმ პრობლემატიკას, რომელიც დასვა გუსტავ ლებონმა და ნაწილობრივ ნიცშემ, ესაა ადამიანების ჯგუფობრივ მოქმედებათა ანალიზი, რომელიც ზესმიწევნით დაწვრილებით დაამუშავა ლებონმა, მაგრამ ტარდის შეხედულება განსხვავდება ლებონის მოსაზრებათაგან, რადგან ლებონისთვის ყოველი ჯგუფური მოქმედება ინსტინქტური და ცხოველურია, მასში ის ვერ პოულობს ლოგიკურ ელემენტს. ჯგუფი ყოველთვის ბრბოა. ტარდი ავითარებს კოლექტიურ მოქმედებათა ბრბოსეულ ხასიათს და ლებონის მსგავსად ემყარება საფრანგეთის რევოლუციის ტოკვილისა და ტენისეულ ანალიზს, ამავე დროს, გაარჩევს სხვა ჯგუფობრივ მოქმედებებს, რომელნიც საზოგადოებრივი აზრის გამოვლენაა და კოლექტიური ფსიქოლოგიის ის სფეროა, რომელიც ბრბოსაგან განსხვავებული პუბლიკის მოქმედების სახით ვლინდება. ბრბო და პუბლიკა ურთიერთსაწინააღმდეგო ნიშნებით ხასიათდებიან. ტარდი ხაზს უსვამს ირაციონალურის გვერდით, ჯგუფთა რაციონალურ მოქმედებას, ალოგიკურის გარდა, ჯგუფთა ლოგიკურ ქცევას და ამ მიზნით შემოაქვს ბრბოს გვერდით პუბლიკის ცნება. ჯგუფთა მოქმედების აღსანიშნავად ასეთი დადებითი ცნება ლებონს არა აქვს, მაგრამ ბრბოს დახასიათებაში ისინი დიდად არ განსხვავდებიან, ამიტომ ტარდი მიჰყვება ლებონს და ამავე დროს, ახალ ხაზს ქმნის ამ გზაზე. განვიხილოთ ბრბოსა და პუბლიკის ტარდისეული ანალიზი. ტარდის აზრით, ინდივიდუალური ფსიქოლოგია საზოგადოებრივისაგან განსხვავებულია, ინდივიდუალური ფსიქოლოგია შეისწავლის სულის მიმართებას გარემოსთან, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ფსიქოლოგია სულებს შორის მიმართებას განიხილავს. ე. ი. ინდივიდის ფსიქიკა და ინდივიდის დამოკიდებულება გარესამყაროსთან ინდივიდუალური ფსიქოლოგიის საგანია, ხოლო მიმართება ინდივიდებს შორის, რომელიც გარკვეულ ჯგუფებს ქმნის და ჯგუფთაშორისი ფსიქიკა, საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის საგანია. საზოგადოებრივი ფსიქოლოგია კი სოციოლოგიაა. ტარდია აზრით, არსებობს "ნათელი ზღვარი" ჩვეულებრივ და საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას შორის, რომელსაც სიამოვნებით ვუწოდებთ ს უ ლ თ ა შ ო რ ი ს ს ა ნ უ ი ნ ტ ე რ ს პ ი რ ი ტ უ ა ლ უ რ ს " .

ტარდი აანალიზებს სოციალური ფსიქოლოგიის როგორც სოციოლოგიის დარგის წარმოშობას და აღნიშნავს, რომ მისით ცნობიერ დასაქმებას წინ უძღოდა არაცნობიერი დასაქმება, რადგან ფსიქოლოგიით დაკავებულობის პირობებში ადამიანები

ეხეზოდნენ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოვლენებს, თუმცა არ იცოდნენ, რომ ეს მოვლენები სოციალურ-ფსიქოლოგიური იყო. ეს რომ ცოდნოდათ, ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებოდნენ სოციალურ და ინდივიდუალურ ფსიქოლოგიას. ისტორიკოსები ტარდს სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად თვლიან, ტარდი კი სოციალური ფსიქოლოგიის ფესვებს უფრო ადრე ეძებს, ყოველ შემთხვევაში XVII საუკუნეში. მხოლოდ ამ პერიოდის მოაზროვნეებს არ ჰქონდათ გაცნობიერებული მათი კვლევის ობიექტთა სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათი. ტარდის აზრით, სოციალური ფსიქოლოგიის ორი დარგი: საზოგადოებრივი აზრი თავისი ფორმებით და სქესობრივი ფსიქოლოგია საზოგადოებრივ ფსიქოლოგიასთან ერთად სოციოლოგიის სფეროს წარმოადგენდნენ. ტარდის განხილვის საგანია საზოგადოებრივი აზრის მექანიზმი და მასთან დაკავშირებით ორი ძირითადი სოციალური კატეგორია: ბრბო და პუბლიკა. ავტორი ილაშქრებს ამ ცნებათა აღრევის წინააღმდეგ, მიზნად ისახავს პუბლიკის ცნების ზუსტ დეფინიციას, ამისთვის მიმართავს ბრბოს ცნებასთან შედარებით ანალიზს. ტარდის აზრით, ბრბოს ფსიქოლოგია დადგენილია და ისიც ცხადია, რომ პუბლიკას ხშირად ვიყენებთ ბრბოს იგივეობრივი მნიშვნელობით, როცა ცლაპარაკობთ ამა თუ იმ თეატრის, ამა თუ იმ კრების პუბლიკაზე, მაგრამ არის პუბლიკის ერთი მნიშვნელობა, რომელიც ბრბოსაგან განსხვავებულია და რომელსაც დასაბამი მისცა წიგნის ბეჭდვამ. წიგნის ბეჭდვის საფუძველზე წარმოიშვა პუბლიკა, როგორც წმინდა გონითი მთლიანობა, რომლის ინდივიდები დაფანტული და დაშორებული არიან ერთმანეთს, მაგრამ აქვთ გონითი კავშირი, საკითხი სწორედ ამ პუბლიკას ეხება: "საიდან წარმოდგება იგი, როგორ აღმოცენდება და ვითარდება, როგორია მისი სახესხვაობანი, მისი მიმართებანი ხელმძღვანელებთან, ბრბოსთან, კორპორაციებთან, მთავრობებთან, როგორ გრძნობს ან მოქმედებს, რამდენად კეთილისმყოფელი ან საზიანოა, აი, რით ვართ ჩვენ დაკავებული ამ გამოკვლევაში". განსხვავებით ბრბოსაგან, რომელიც სივრცული ერთობაა და გულისხმობს ერთ ადგილზე თავმოყრილ ადამიანებს, პუბლიკა არაა შეზღუდული სივრცის გარკვეული მონაკვეთით და არც ადამიანთა თავმოყრაა, შეიძლება ადამიანი სახლში იჯდეს და პუბლიკის შემადგენელი იყოს, პუბლიკა თავისებური სულიერი ერთობაა მიღებული საერთო ინფორმაციის საფუძველზე. ტარდი მას უმთავრესად საგაზეთო ინფორმაციასთან აკავშირებს და ეს გასაგებიცაა, რადგან ტარდის დროს ინფორმაციის სხვა საშუალებები არ იყო განვითარებული. მისი აზრით, პუბლიკა მასობრივი გაზეთების გარეშე არ არსებობდა. ეს ნიშნავს, რომ პუბლიკა ბრბოსაგან განსხვავებით უფრო გვიანდელი მოვლენაა. ბრბო არსებობდა ყველა საზოგადოებაში ანტიკურობიდან დაწყებული, პუბლიკა კი არსებობს პრესის შექმნის შემდეგ, ამით ხსნის ტარდი იმ გარემოებას, რომ ბერძნულსა და ლათინურში არ არის პუბლიკის შესაბამისი ტერმინი. ტარდის მტკიცებით, "ბრბო, როგორც სოციალური ჯგუფი, წარსულის კუთვნილებაა. ოჯახის შემდეგ, ყველა საზოგადოებრივ ჯგუფთაგან ის ყველაზე ძველია". პუბლიკის არსებობას საფუძველი ეყრება XVI საუკუნეში, როდესაც პირველად დაიბეჭდა წიგნი, ეს განპირობებულია იმით, რომ ბეჭდვის გზით შესაძლებელი გახდა აზრის გადაცემა მანძილზე. პუბლიკა გარკვეული განვითარების შედეგია და გულისხმობს მომზადებას იმ თვალსაზრისით,

რომ შთაგონება, რომელიც გადაიცემა მანძილზე და აზრი, რომელსაც იზიარებენ ადამიანები ისე, რომ ვერც მის ავტორს და ვერც სხვა ადამიანებს უშუალოდ კონტაქტის საფუძველზე, ეს კი შესაძლებელი იყო ქალაქური ცხოვრების და ადამიანთა დიდი თავშეყრის ადგილების მეოხებით. ქალაქურ ცხოვრებაში უფრო კარგად გაიაზრებს ადამიანი სხვა ადამიანის აზრის მნიშვნელობას, როგორც მის, ასევე საგნების მიმართ. ამიტომ რომელიმე პუბლიკის წარმოშობა გულისხმობს "უფრო მნიშვნელოვან გონებრივ და საზოგადოებრივ განვითარებას, ვიდრე ბრბოს წარმოქმნისას". პუბლიკას აქვს კიდევ ერთი მახასიათებელი – ესაა საერთო ინტერესი, ერთი შეხედვით, პუბლიკის წყარო გაზეთი, ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ახალია და ახალ ცნობებს გვაწვდის. მართლაც სამი დღის, ან ერთი წლის წინანდელ გაზეთს აღარ წავიკითხავთ, თუნდაც თავის დროზე არ გვექონდეს წაკითხული, იმიტომ კი არა, რომ მასში საინტერესო ამბავი არ წერია, არამედ იმიტომ, რომ ეს ამბავი უკვე არავის აინტერესებს. ისე როგორც გაზეთი შეიძლება მოგვითხრობდეს ძველ ამბავს, მაგრამ თუ ეს ახალ გაზეთშია, ჩვენ ის გვანტერესებს, რადგან ვვარაუდობთ, რომ ჩვენსავით სხვასაც აინტერესებს, რომ ის მოდაშია. ინტერესთა ეს ერთობა პუბლიკის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. აქ განმსაზღვრელია მოდა, რომელიც მანძილზე შთაგონების ერთ-ერთი წყაროა. ტარდის აზრით, პუბლიკა შეიძლება იყოს ფილოსოფიური, სოციოლოგიური, პოლიტიკური. მას შემდეგ, რაც გაჩნდა შესაძლებლობა ერთი და იმავე საქმით დაკავებული ადამიანები ერთმანეთს მანძილზე პრესის საშუალებით დაუკავშირდნენ, ისინი ერთი პუბლიკა გახდნენ, ამდენად ჭეშმარიტი პუბლიკის წარმოშობა, ტარდის აზრით, საფრანგეთის რევოლუციას უკავშირდება, რომელმაც ფართო გასაქანი მისცა ჟურნალისტიკას. ტარდის აზრით, ბრბოსთან შედარებით, პუბლიკა უფრო ფართო ცნებაა. ბრბო ყოველთვის შეზღუდულია სივრცეში მასთან მყოფი ადამიანებით, თუ ერთად სივრცეში ბევრი ადამიანი იყრის თავს, ბრბო იშლება სხვადასხვა ბრბოებად, პუბლიკა კი შეიძლება ძალზე დიდი მოცულობის იყოს, ეს დამოკიდებულია ენის ფაქტორზე: გაზეთის ტირაჟზე, იმ ენაზე, რომელზეც კითხულობენ, ლაპარაკობენ და შეუძლიათ გაიგონ. პუბლიკაც არაა უსაზღვრო, მაგრამ ბრბოსთან შედარებით ნაკლებად შეზღუდულია. ბრბო ადვილად დაშლადია, როგორც კი ხელმძღვანელი ხელიდან გაუშვებს სადავეებს, ბრბო იშლება, ის თანამედროვე საზოგადოებაში თავისებური არქაული ფორმა ხდება, მაშინ, როდესაც პუბლიკა "მომავლის სოციალური ჯგუფია". ტარდი ლებონის მსგავსად რევოლუციისადმი უარყოფითი პოზიციით ხასიათდება, მისთვის ყოველი რევოლუცია ბრბოს საქმიანობაა, რევოლუციის ბელადები კი დემაგოგებია, რომლებიც "ბრბოს უმასპინძლდებიან ცარიელი და აღმაფრთოვანებული სიტყვების გამაბრუებელი სასმისებით და მათ სიკვდილის შემდეგ ამისათვის პანთეონში გადასვენებენ". ტარდის პოზიცია არისტოკრატის ინტერესებს ემყარება, მაგრამ, ამავე დროს, ნათლად ხედავს პრესის ძალას ადამიანთა ორგანიზაციის საკითხში, ისე როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას საზოგადოების წინსვლისათვის. ამ ანალიზში ჯერჯერობით არაფერი თქმულა ტარდის სოციოლოგიის ძირითად ცნებებზე: მიბაძვა, გამოგონება, აღმოჩენა, რომლებიც სოციალური ცხოვრების ძირითადი ფაქტები და მამოძრავებელია. ხომ არ უარყო

კონკრეტული ანალიზის სფეროში მათი მნიშვნელობა? რასაკვირველია, არა. ანალიზი საბოლოო მიზნად ისახავს იმის ჩვენებას, თუ როგორაა ბრბოსა და პუბლიკის წარმოქმნაში განსაზღვრული მიზანმიმართული და აღმოჩენა. ტარდის აზრით, ჩვენ ვიზიარებთ ამ თუ იმ მოსაზრებას იმის გამო, რადგან მოველით, რომ სხვებიც იზიარებენ მათ, ე. ი. ვბაძავთ. ეს აზრები კი უნდა შთაგაგონონ ტექნიკის საშუალებით, რომელსაც გამოგონება განსაზღვრავს. ტარდი ემიჯნება ლებონს, რომელიც ამტკიცებდა, რომ თანამედროვეობა ბრბოს ეპოქაა, ტარდის აზრით ბრბო წარსულის კუთვნილებაა, ხოლო მომავალი პუბლიკის. პუბლიკა უსაზღვრო განვითარების შედეგია – "სამი ერთმანეთის ხელშემწყობი აღმოჩენის: წიგნის ბეჭდვის, რჯინიგზისა და ტელეგრაფის, რითაც შეიქმნა ბეჭდვითი სიტყვის შემადრწუნებელი ძლიერება, სასწაულმოქმედი ტელეფონისა, რომელმაც ასე უსაზღვროდ გააფართოვა ტრიბუნა და ქადაგთა აუდიტორიები". ტარდის აზრით, განსხვავება ბრბოსა და პუბლიკას შორის, აღნიშნულით არ ამოიწურება. ერთი და იგივე ადამიანი შეიძლება მრავალ პუბლიკას ეკუთვნოდეს, მაგრამ ბრბოს მხოლოდ ერთს. ამით ახსნის იგი ბრბოს შეუწყნარებლობას, ისე როგორც ერთისას, რადგან ისიც ბრბოს სახეობად მიაჩნდა, მაშინ რედესაც პუბლიკის წევრი შეიძლება სხვა ინტერესებითაც ცხოვრობდეს, თუმცა პუბლიკასაც ახასიათებს აღზნებადობა, როდესაც ისვრის ლოზუნგს: "გაუმარჯოს" ან "სიკვდილი". ამ აზრით პუბლიკა მომავალში შეიძლება დაემსგავსოს ბრბოს, თუმცა მაშინაც როცა პუბლიკა-ბრბოსთან გვექნება საქმე, ის არ იქნება პუბლიკამდელი ბრბოს იგივეობრივი თავის სისასტიკეში. ბრბოსა და პუბლიკის ერთ-ერთი განმასხვავებელია ისიც, რომ ბრბოს შექმნისთვის აუცილებელია გარკვეული ფიზიკური გარემო: ამინდი, წელიწადი, დრო და ა. შ. პუბლიკაზე კი ამ ფაქტორს არავითარი გავლენა არ აქვს. გარდა ამისა ბრბოში უფრო იჩენს თავს გვაროვნული და რასობრივი ნიშნები, ვიდრე პუბლიკაში. წინამძღოლი ბრბოზე უშუალოდ და ამ მომენტში ახდენს გავლენას, პუბლიკისთვის კი წინამძღოლის გავლენა ამ მომენტში შეიძლება არ იყოს ძლიერი, მაგრამ პერსპექტივაში გაძლიერდება. ბრბო, ტარდის აზრით, გაცილებით უფრო ნაკლებადაა ერთგვაროვანი, ვიდრე პუბლიკა. ბრბო ჭრელია, რადგან მას მრავალი ცნობისმოყვარე ეტმასნება. პუბლიკა კი მრავალსახოვან ერთობას ემყარება, კლასობრივი იქნება თუ გემოვნებითი, ერთი და იმავე მაღაზიის, თუ მკერავის კლიენტურა იქნება, თუ სხვა ერთობა, ფაქტია, რომ ყოველი ჩვენგანი აცნობიერებს თავის კავშირს სხვებთან მრავალი მიმართებით, რაც მათი ერთობის საფუძველია. ყოველ გამოცემას, თუ გაზეთს ორი სახის მყიდველი ჰყავს: მუდმივი და შემთხვევითი. პუბლიკას მუდმივი მყიდველები შეადგენენ. ჟურნალისტის საქმიანობა შემთხვევით მყიდველზე არ არის მიმართული. მან თავის მკითხველთა საზოგადოებრივი აზრი უნდა წარმართოს. დიდი პუბლიცისტები ქმნიან საზოგადოებრივ აზრს და სამყაროს უფრო ქმედითად მართავენ, ვიდრე სახელმწიფო მოღვაწენი. პუბლიკა ფართოდ ავრცელებს თავის სფეროს და საერთაშორისო ხასიათს ღებულობს. მაშინ, როცა ბრბოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, კონგრესის სახით შეუძლია მიიღოს საერთაშორისო ფორმა. ამ განსხვავებათა მიუხედავად "ყველა სოციალურ აგრეგატთან პუბლიკასთან ყველაზე ახლო ურთიერთობაში ბრბოა". თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ მათ შორის განსხვავება "დიდია, მკვეთრია, ხასიათისეულია".

ტარდის აზრით, პუბლიკა, როგორც თანამედროვეობის და მომავლის ერთობის ძირითადი ფორმაა, აერთიანებს ადამიანებს, მიუხედავად ჯგუფთა განსხვავებისა, იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური თუ ეროვნული. ტარდი იძლევა პუბლიკის კლასიფიკაციასაც. პუბლიკა, ისე, როგორც ბრბო, შეიძლება იყოფოდეს სქესის, ასაკის, და სხვა ნიშნების მიხედვით. ბრბოთა და პუბლიკათა განსხვავების ძირითადი მაჩვენებელი მათი მიზნები და რწმენაა. ბაზარში თავშეყრილი ხალხი, თუ მათ ერთი რწმენა და მიზანი არ ამოძრავებთ, ადამიანთა გროვაა და არა პუბლიკა. როგორც კი მათ საერთო სურვილი ამოძრავებს, ისინი შეადგენენ ბრბოს, რომელიც შემდეგ შეიძლება გადაიზარდოს პუბლიკაში.

გაზეთის ყველა მკითხველიც არაა პუბლიკა, ის, ვინც მხოლოდ განცხადებებს ეცნობა, არ შეიძლება ჩაითვალოს პუბლიკად. თუ გაზეთმა ადამიანები დარაზმა ერთიანი მიზნისაკენ მისწრაფებით და გამოუმუშავა ერთიანი რწმენა, ისინი შექმნიან პუბლიკას. ბრბოსა და პუბლიკას შორის საერთო ისაა, რომ მათ გარკვეული სურვილები და მიზნები უნდა ჰქონდეთ. როგორც ბრბო, ისე პუბლიკა, მსურველი და მორწმუნეა, მაგრამ ეს რწმენა შეიძლება უკიდურესობამდე მივიდეს, ამიტომ ბრბოც და პუბლიკაც შეიძლება იყოს რწმენისეული, ფანატიკური, ნებისეული, დესპოტური. განსხვავება ისაა, რომ პუბლიკა უფრო ნაკლებად ესწრაფვის უკიდურესობას, ვიდრე ბრბო. პუბლიკა არაა ისე დესპოტი და დეგმატური, როგორც ბრბო. პუბლიკის რწმენა – დოგმატიზმი თუ დესპოტიზმი, სიმწვავეს მოკლებულია, მაგრამ უფრო მტკიცეა, ვიდრე ბრბოსეული. ბრბოს ტარდისეული განსაზღვრება ასეთ ფორმას იღებს: "ბრბო ამორფული ჯგუფია, რომელიც აისახება თვითნებურად, ყოველთვის რაიმე სოციალური სხეულით, ბიძგი ეძლევა ბუნტისთვის, ამ სხეულის ერთ-ერთი წევრი მისთვის ფერმენტია და აძლევს ბრბოს თავისებურ ელფერს". ბრბოს სხვადასხვა სახე სხვადასხვანაირ რეაქციას ავლენს. ავტორს ყველაზე უწყინრად მიაჩნია რელიგიური ბრბო. რელიგიური ბრბო დანაშაულს მხოლოდ მაშინ სჩადის, როცა წინ აღუდგება სხვაგვარად მოაზროვნე, ან მოწინააღმდეგე რწმენის წარმომადგენელი. ყველაზე ალგუნებადია პოლიტიკური ბრბო. ის ძირითადად ქალაქის მოსახლეობისაგან შედგება. სამეურნეო, სამრეწველო და სოფლის ბრბოები ერთსულოვანია თავიანთ მოთხოვნებში, მაგრამ ნაკლებად ესწრაფვიან მკვლევლობას. არსებობს ესთეტიკური ბრბოც. მის წარმოშობას განსაზღვრავს რომელიმე ნაწარმოების თუ სკოლის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა გათიშვა. ამ განსხვავებათა მიუხედავად, ბრბოს ყველა სახეობას აქვს საერთო ნიშნები: "საოცარი მოუთმენლობა, სასაცილო სიამაყე, ავადმყოფური მგრძნობელობა, უპასუხისმგებლო ცნობიერება, რომელსაც ქმნის ყოვლის შემძლეობის ილუზია და ზომიერების გრძნობის სრული დაკარგვა, რაც დამოკიდებულია თანამოაზრეთა უკიდურეს ალგუნებადობაზე". ბრბოს ნიშანთა უმრავლესობა, ტარდის აზრით, ახასიათებს პუბლიკასაც, მაგრამ მასში ეს ნიშნები ისე მკაცრად არ არის გამოხატული. როგორც პუბლიკა, ისე ბრბო მთვრალს მოგვაგონებს. ეს იმის შედეგია, რომ ისინი ეწევიან დამაბულ კოლექტიურ ცხოვრებას, რაც გონებისათვის ალკოჰოლის ძალისაა. ამ ორი სოციალური კატეგორიის ტარდისეული დახასიათება მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ "სოციალური ჯგუფის პუბლიკად გარდაქმნით სამყარო თავის გონით განვითარებაში წინ მიდის". ტარდი ბრბოს აჯგუფებს აქტივობის და პასივობის

ნიშნითაც, ის გამოყოფს მომლოდინე და მოქმედ ბრბოებს. მომდინარე ბრბოს ნიმუშია თეატრის მაყურებელი წარმოდგენის დაწყების მოლოდინში, ან გილიოტინასთან დასჯის მოლოდინში შეკრებილი ბრბო, ან კიდევ პოლიტიკური მოღვაწის, ან ვინმე სტუმრის ჩამოსვლის მომლოდინე ბრბო. ტარდი ფიქრობს, რომ ბრბო უფრო მოუთმენელია, ვიდრე ცალკეული პიროვნება, არსებობს კიდევ მანიფესტირებადი ბრბო. ესაა შუათანა მდგომარეობა პასიურ და აქტიუ ბრბოს შორის. ისინი კმაყოფილდებიან მანიფესტაციებით, დროშებით და პლაკატებით. ტარდის აზრით, მოქმედი ბრბო მხოლოდ ნგრევით და მკვლევლობით შემოიფარგლება, მაგრამ მათი აშენებული და გაკეთებული არავის უნახავს, ზოგჯერ დარგავენ რამდენიმე ხეს თავისუფლების ხის სახელით, მაგრამ მანამ მთელ ტყეებს გადაწვავენ. ბრბოს მოქმედება ყოველთვის უფრო დამანგრეველია, ვიდრე გათვალისწინებული იყო. ბრბო შეიძლება იყოს ნასაზრდოები სიყვარულით და სიძულვილით. ორივე შემთხვევაში ის ნგრევასა და სიკვდილს ამზადებს, მაშინაც, როდესაც დილიოტინაზე მიიყვანს მსხვერპლს და მაშინაც, როდესაც ეტლში შეებმება და მიაქანებს თავის კერპს. ბრბოს ერთადერთი სახეობა, რომელსაც ტარდი დადებითად ახასიათებს ესაა მოზეიმე ბრბო, რომელიც ხასიათდება სადღესასწაულო აპოთეოზით. მიუხედავად ასეთ უარყოფითი დახასიათებისა, ზოგჯერ ტარდი სრულიად მოულოდნელ დასკვნას აკეთებს. "ყოველგვარი ბრბო, შეკრებილობანი და ადამიანთა ურთიერთლტოლვა საზოგადოების განვითარებისათვის გაცილებით უფრო სასარგებლოა, ვიდრე საზიანო". მაგრამ ამ დებულების საფუძველი არ ჩანს ტარდის მსჯელობაში. ტარდი სვამს კითხვას: შეგვიძლია თუ არა ვილაპარაკოთ მოქმედ პუბლიკაზე და დადებითად უპასუხებს ამ კითხვას, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ მოქმედი პუბლიკა არსებითად განსხვავდება მოქმედი ბრბოსაგან. მოქმედი პუბლიკა პუბლიცისტიკაში გამოხატავს თავის ნააზრევს, იმუშავებს საზოგადოებრივ აზრს, რომელსაც იძულებულია, ანგარიში გაუწიოს პუბლიკასაც და მთავრობასაც. საზოგადოებრივი აზრი პუბლიკის მოქმედების მაჩვენებელია. ტარდი სვამს კითხვას: შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ დანაშაულებრივი ბრბოს ანალოგიურად დანაშაულებრივ პუბლიკაზე? და აღნიშნავს, რომ ეს შესაძლებელია, რადგან "პუბლიკა გაცილებით ნაკლებად ბრმა და შეუდარებლად უფრო მუდმივი ბრბოა, რომლის გაანგარიშებული ბოროტება გროვდება და გრძელდება თვეობით და წლებით".

პუბლიკა შეცდომაში შეყავთ სიცრუითა და პროპაგანდით, მაგრამ პუბლიკა ბრბოზე უფრო ძნელი მოსატყუებელია. ბრბოს ორატორს არ ჰყავს ოპონენტი, მაშინ როდესაც პრესა აქვს, როგორც ერთ, ისე მეორე პუბლიცისტს და მათ შორის პოლემიკაა. და მაინც, პუბლიკის დანაშაული განსხვავებულია ბრბოს დანაშაულისაგან. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ისეთი აღმაშფოთებელი არაა, როგორც ბრბოსი; მეორეც პუბლიკის დანაშაულში ნაკლებია შურისძიება და მეტია თვით ანგარება, ნაკლებია ძალადობა და მეტია ვერაგობა; მესამე, პუბლიკის დანაშაულის მჩაგვრელობითი ძალა უფრო ფართო და ხანგრძლივია; მეოთხე, პუბლიკის დანაშაულს დაუსჯელობის მეტი გარანტია აქვს.

ტარდის აზრით, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ბრბოს დანაშაული, პასუხისმგებლობა უნდა იკისრებოდეს არა ბრბოს, არამედ იმათ, ვინც ბრბოს აფექტის ვითარებაში

უბიძგა. პუბლიკის დანაშაული კი უფრო მეტ პასუხისმგებლობას უნდა გულისხმობდეს, რადგან პუბლიკას აქვს საშუალება, გააცნობიეროს თავისი მოქმედება და არ აპყვეს პუბლიცისტს, ხოლო თუ აყვება, მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მოქმედებისათვის. ტარდის აზრით, ერთგვარი კანონის სახეს რეზულტობს დებულება: "დანაშაულებრივი ბრბოს უკან დგას კიდევ უფრო დანაშაულებრივი პუბლიკა, ხოლო პუბლიკის სათავეში კიდევ უფრო დამნაშავე პუბლიცისტები". ტარდი თითქმის პუბლიკას ბრბოზე უფრო მაღლა აყენებს, მაგრამ ფაქტობრივად იმასაც აღიარებს, რომ პუბლიკის დანაშაული მეტია ბრბოს დანაშაულზე. ტარდი ამტკიცებდა, რომ სოციალური ჯგუფები პროგრესის მამოძრავებელია, მაგრამ ეს ეწინააღმდეგება მის პრინციპს გამოგონებისა და მიბადვის შესახებ, რომლის სათავე ინდივიდია. ამიტომ, ის საბოლოოდ უარყოფს თავის მოსაზრებას სოციალური ჯგუფების პროგრესულობაზე და ამტკიცებს: "ღრმა შეცდომა იქნებოდა, საკაცობრიო პროგრესის ნაწილი მიგვეწერა რაიმე ერთობებისათვის, თუნდაც, მათი ყველაზე გონიერი სახეობებისათვის, ყოველგვარი ნაყოფიერი წამოწყება ინდივიდუალური და დამოუკიდებელი აზრის შედეგია, ხოლო იმისათვის, რომ ვიაზროვნოთ, უნდა განვცალკევდეთ არა მარტო ბრბოდან, არამედ პუბლიკიდანაც". ტარდის აზრით, ამის იგნორირებას ახდენენ ისინი, ვინც შემოქმედებით ძალას ხალხს მიაწერს და არა პიროვნებას. ასეთია, მოკლედ, ტარდის მოძღვრება სოციალურ ჯგუფთა ორ სახეობაზე: ბრბოსა და პუბლიკაზე. ამით გამოხატულია ტარდის პოზიცია საერთოდ ყოველგვარი სოციალური ერთობის მიმართ ხალხების ჩათვლით. ამიტომ ის ინდივიდუალისტური სოციოლოგიის და ისტორიოგრაფიის წარმომადგენელია.

შემდეგი პრობლემა, რომელიც ტარდის მოსაზრებებში მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივი აზრის საკითხია. ტარდი პირველია სოციოლოგიაში საზოგადოებრივი აზრის კვლევაში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი აზრის ანალიზში გარკვეული წვლილი აქვს ჰეგელს. მის "სამართლის ფილოსოფიაში" მოცემულია საზოგადოებრივი აზრის განსაზღვრება თავისუფლებასთან მიმართებაში. "ფორმალური სუბიექტური თავისუფლება ისაა, რომ ერთხელ ადამიანებს გააჩნიათ და გამოხატავენ კიდევ თავიანთ საკუთარ აზრს საზოგადო აზრებზე და იძლევიან მათ შესახებ რჩევას. სუბიექტური ფორმალური თავისუფლება ვლინდება იმ თანხვედენაში, რასაც საზოგადოებრივ აზრს უწოდებენ". ჰეგელის აზრით, საზოგადოებრივი აზრი არ შეიძლება იყოს სუბსტანციული და განმსაზღვრელი, საყოველთაო და ჭეშმარიტი. ის უბრალოდ უმრავლესობის აზრია, ამიტომ ის მოვლენისეულია და არა არსებისეული. ჰეგელი თავისებურად აკნინებდა საზოგადოებრივ აზრს, მაშინ, როდესაც ტარდი მას მნიშვნელოვან მოვლენად თვლის. და მაინც, ჰეგელის განსაზღვრებაში მრავალი მომენტია მითითებული, რომელიც საზოგადოებრივი აზრის შესახებ კითხვათა მთელ მწკრივს განაპირობებდა. სახელდობრ, საზოგადოებრივი აზრის პირობების, მისი შინაარსისა და სუბიექტის შესახებ.

ჰეგელამდე საზოგადოებრივი აზრის განსაზღვრებას ვხვდებით ფრანგ მატერიალისტებთან. დიდრო 1775 წლის წერილში ნაკერისადმი წერს: "საზოგადოებრივი აზრი – ესაა სიკეთისა და ბოროტების ძლიერი მიზეზი, რომლის

მთელი ძალა თავდაპირველად მცირერიცხოვან ადამიანებზე უმნიშვნელო მოქმედებაა. ეს ადამიანები საქმეზე ფიქრობენ, საუბრობენ და სხვადასხვა საზოგადოებრივ ადგილებში ქმნიან სასწავლო ცენტრებს, აქედან ვრცელდება დასაბუთებული ჭეშმარიტებანი თუ შეცდომანი ქალაქის ბოლომდე, სადაც ისინი ღებულობენ რწმენის ძალას". აქ დიდროს საზოგადოებრივი აზრის გავრცელების კანონზომიერება, მნიშვნელობა და ცნება აქვს განსაზღვრული. ანალოგიური მოსაზრებები გამოთქმული აქვს ჰელვეციუსსაც.

ტარდი ცდილობს, უფრო ღრმად შეიჭრას საზოგადოებრივი აზრის სტრუქტურაში, არ დაკმაყოფილდეს მისი განსაზღვრებით გვარისა და სპეციფიკური ნიშნების მიხედვით. მიუთითოს მის ელემენტებზე, საზღვრებზე და არსებობის თავისებურებებზე.

ტარდი აცნობიერებს საზოგადოებრივ აზრსა და პუბლიკას შორის კავშირს და ურთიერთგანპირობებულობას. ის აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი აზრი პუბლიკისთვის იგივეა, რაც სული სხეულისთვის. საზოგადოებრივი აზრის კვლევის პროცესში ტარდი აყენებს შემდეგ საკითხებს: "რა არის საზოგადოებრივი აზრი? როგორ აღმოცენდება იგი? როგორია მისი წყაროები? როგორ გამოვლინდება, გამოვლენისას თუ ფართოვდება, როგორ ფართოვდება, როდის და როგორ იზრდება? გვიჩვენებენ, თუ არა ამას მისი გამოქვეყნების თანამედროვე ფორმები? საყოველთაო ხმის მიცემა და ყოველდღიური პრესა? რით გამოიხატება მისი სარგებლიანობა და სოციალური მნიშვნელობა? რა გარდაქმნებს ექვემდებარება იგი? დაბოლოს, რომელ საერთო ნაკადში (თუკი ასეთი არსებობს) ჩავარდება მისი მრავალრიცხოვანი შენაკადები?" ყველა ეს კითხვა დგას ტარდის წინაშე ამოცანის სახით, რომელსაც მან უნდა უპასუხოს. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევაში საკითხების ტარდისეული დაყენება დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. სიმნელეები, რომელთაც ტარდი აცნობიერებს, დღესაც მწვავეა. თანამედროვე სოციოლოგები საზოგადოებრივ აზრს ადარებენ "ატმოსფერულ წნევას, რომელიც არ დაინახება შეუიარაღებელი თვალით, მაგრამ მეტად მგრძობიარეა". საკითხის სირთულის ძირითად წყაროდ მიიჩნევენ მის შინაგან სტრუქტურას, სიმნელის გადასალახავად ისახავენ კვლევით ამოცანას, რომლის მიზანია, აღწეროს განსაზღვროს და გაზომოს საზოგადოებრივი აზრი. ტარდის მიერ დასმულ პრობლემატიკას დღეს ასეთი ფორმა ეძლევა: "რა ადგილი უკავია საზოგადოებრივ აზრს საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებში? როგორია მისი სოციალური და გნოსეოლოგიური ბუნება? რა როლს თამაშობს ის საზოგადოების ცხოვრებაში? როდის გამოითქმის? ვის მიერ? რა ფორმით? და. ა. შ.". ტარდი მის მიერ დასმულ კითხვაზე რა არის საზოგადოებრივი აზრი, ასე უპასუხებს: საზოგადოებრივ აზრში ორი ცნება იგულისხმება: ერთი მხრივ, საქმე გვაქვს აზრთან, შეხედულებასთან, ე. ი. მსჯელობათა ერთობლიობასთან და მეორე მხრივ, საერთო ნებელობასთან, ან სხვაგვარად სურვილთა ერთობლიობასთან. ტარდი საზოგადოებრივ აზრს ასე განსაზღვრავს: "საზოგადოებრივი აზრი... ლოგიკურ მსჯელობათა ჯგუფია, რომელნიც უპასუხებენ ამჟამად დასმულ კითხვებზე და რომელნიც რეპროდუცირებული არიან მრავალრიცხოვნად ერთი და იმავე ქვეყნის, ერთი და იმავე დროის და ერთი და იმავე საზოგადოების პიროვნებებს შორის".

7. საზოგადოებრივი აზრი, თქმულება, კრებითი გონი და საუბარი.

ტარდი ცდილობს, საზოგადოებრივი აზრი განასხვავოს მსგავსი ფენომენებისაგან, პირველ რიგში თქმულებისაგან, რომელიც წარსულში ადამიანთა საზოგადოებრივი აზრის იყო და ტრადიციის თუ ცრურწმენის სახით გავლენას ახდენს თანამედროვეობაზე. მეორე ფენომენი, რომლიდანაც გამიჯნავს საზოგადოებრივ აზრს, არის კრებითი გონი. ესაა რჩეულ ადამიანთა პიროვნული აზრები და ეს ადამიანები ცდილობენ, მათ მიხედვით წარმართონ სხვათა აზროვნება. ესაა წინასწარმეტყველები, კანონმდებლები, ფილოსოფოსები, მეცნიერები და სხვ. თქმულება და კრებითი გონი წინ უსწრებდნენ საზოგადოებრივ აზრს. საზოგადოებრივი აზრისათვის ისინი თავისებურ წყაროს წარმოადგენდნენ, თუმცა მისი ძირითადი წყარო ყოველთვის იყო ნაამბობი, თანამედროვეობაში კი – პრესა. დღეს საზოგადოებრივი აზრი, ტარდის აზრით, ისე გაძლიერდა, რომ მან ძალუმად შეუტია თქმულებასაც და კრებით გონსაც – სულერთია, იქნება ეს სასამართლო, მეცნიერული, საკანონმდებლო თუ სახელმწიფო გონი. საზოგადოებრივი აზრი იქცა უსაზღვრო ძალად. ტარდის მტკიცებით ყოველთვის მსჯელობენ საზოგადოებრივ აზრზე, თითქოს ის ერთია, მაგრამ ფაქტობრივად ყოველთვის არსებობს ორი აზრი და ბრძოლა მათ შორის. ისტორიულად, საზოგადოებაში აზრი ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ის საერთო კი არ იყო, არამედ ათასობით დაქსაქსულ ადამიანთა აზრი კავშირის გარეშე. ამ აზრთა დაკავშირების გზა გახდა ჯერ წიგნი და მერე გაზეთი. ბუნებრივია, ტარდი არ ხედავს ინფორმაციის სხვა საშუალებებს, რომელნიც მის დროს არ იყო. ტარდის ყურადღება ძირითადად პრესაზეა გადატანილი. საზოგადოებრივი აზრის შექმნას წინ უძღოდა საზოგადოებრივი გონის შემუშავება, მიწერ-მოწერა, გზების განვითარება, მუდმივ არმიათა შექმნა და სხვა ანალოგიური მოვლენები, რომლებიც ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებდნენ და ქმნიდნენ საზოგადოებრივ გონს. საბეჭდმა მანქანამ ის განავითარა უმაღლეს დონემდე, ყოველივე, რაც ადგილობრივი იყო, პრესის გზით გახდებოდა ეროვნული, სახელმწიფოებრივი და მსოფლიო მნიშვნელობის მქონე. "ყოველდღიური პრესა – ეს არის ცნობათა შემსრუტველი ტურბო, რომლითაც ყოველ დილას ვღებულობთ ინფორმაციას დედამიწის ყოველი წერტილიდან იმავე დღეს ვაწვდით მთელ მსოფლიოს". ტარდის აზრით, ნაწილობრივ წიგნმა და მთლიანად პრესამ შეძლო ადამიანებში ეროვნული გრძნობების გაღვიძება და ეს დამოკიდებული აღმოჩნდა იმ ენებზე, რომელზეც იბეჭდებოდა გაზეთები და წიგნები. ყოველი ერი ცდილობს, გააფართოვოს მისი ბატონობის სფერო, ამის საუკეთესო საშუალება პრესაა. ტარდისთვის საზოგადოებრივი აზრის უმთავრესი წყარო პრესაა, მაგრამ ის არც ერთადერთია და არც თავდაპირველი. მის გვერდით და მანამდე არსებობს საზოგადოებრივი აზრის მეორე რიგის ფაქტორი – საუბარი. საუბრის გარეშე გაზეთები ვერ შეასრულებენ საზოგადოებრივი აზრის ორგანიზატორის როლს. მაშინ, როდესაც საუბარს გაზეთის გარეშეც შეუძლია ამ როლის შესრულება. თუმცა მას არასდროს არა აქვს გაზეთის მასშტაბი. ტარდი განსაზღვრავს საუბრის ცნებას: "საუბარში ვგულისხმობთ ყოველგვარ დიალოგს, რომელიც უშუალო და პირდაპირი სარგებლობისათვის კი არ ხდება, არამედ ლაპარაკობენ იმისთვის, რომ ილაპარაკონ,

სიამოვნების, თავაზიანობის თუ მასხრობის გამოც". ტარდის აზრით, ამ განსაზღვრებებით საუბრის გარეშე რჩება სასამართლო დაკითხვები, დიპლომატიური, თუ კომერციული მოლაპარაკებანი, საეკლესიო კრებულები და მეცნიერული ყრილობები. ამავე დროს, საუბარში შეჰყავს სასიყვარულო მუსაიფი, სადღესასწაულო სიტყვები და მისალმებანი. საუბარს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან ურთიერთობის არცერთ სხვა ფორმას არ შეუძლია ყურადღება მიიქციოს ისე, როგორც ეს საუბარს ძალუძს. აქ შეიძლება აღვნიშნოთ ცოცხალი სიტყვის ძალის პოლიტიკური დახასიათება, მოთხოვნა მასებთან უშუალო კონტაქტისა, რაც მათ ცნობიერებაზე ზემოქმედების ყველაზე საუკეთესო ფორმაა. ცოცხალი სიტყვის გავლენის ეს ძალა გაცნობიერებული ჰქონდა ტარდს. ის ამტკიცებდა, რომ ადამიანები "საუბრისას გაცილებით უფრო ღრმად იჭრებიან ერთი მეორეში, ვიდრე ყველა სხვა სოციალურ ურთიერთობათა დროს", ტარდისთვის საუბარი ადამიანთა მჭიდრო ერთობის ფორმაა, იგი ყველაზე ძლიერია მიბაძვისა და გამოგონებათა გავრცელების საქმეში. ამიტომ ტარდი ფიქრობს, რომ უფრო ღრმად უნდა გაშუქდეს საუბრის ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის საკითხები. "მოკლედ მოვხაზოთ საუბრის ფსიქოლოგია. უფრო სწორად, სოციოლოგია. რა სახეობებისაა საუბრები? რა ფაზები განვლეს მათ? როგორია მათი მიზეზები და შედეგები? როგორ მიმართებაში არიან ისინი სოციალურ სამყაროსთან, სიყვარულთან, ენის, ზნეჩვეულებების და ლიტერატურის ცვლილებებთან".

ტარდის აზრით, საუბარი დამოკიდებულია მოსაუბრე სუბიექტებზე, მათ განათლებაზე, სოციალურ მდგომარეობაზე, საცხოვრებელ ადგილზე, პროფესიაზე, რელიგიურ რწმენაზე. საუბრები განსხვავებულია მათი შინაარსით, საგნით, ტონით, ხერხებით, ხანგრძლივობით, ტემპერამენტით. სხვადასხვა სახელმწიფოთა დედაქალაქებში გაიზომა საუბრის სიჩქარე. საუბარი ცივილიზაციის ზრდასთან დაკავშირებით, კითხვის მსგავსად, სულ უფრო დაჩქარებული ხდება. საუბარში აირეკლება ადამიანთა კლასობრივი, წოდებრივი, სქესობრივი განსხვავებანი. საუბარში აისახება ისიც, თუ ვინ არიან ერთმანეთისათვის მოსაუბრენი. განსხვავებულია საუბარი-ბრძოლა საუბარი – აზრთა გაზიარებისაგან. თავისუფალი, თვითნებური საუბარი სავალდებულო რიტუალური საუბრისაგან. პირველი შესაძლებელია მხოლოდ თანასწორ ადამიანთა შორის, მეორე კი დაქვემდებარებულსა და დამაქვემდებარებელს შორის. ტარდი აანალიზებს ადამიანთა ურთიერთმისალმების და ვიზიტის ინსტიტუტებს, რომლებიც საუბრის წყაროა. ადამიანები მოინახულებდნენ წარსულში ერთმანეთს იმის გამო, რომ ქვეშევდომს ბატონისათვის საჩუქარი მიერთვა, შემდეგ საჩუქრის გარეშე შენარჩუნებულ იქნა ვიზიტი და მისალმებანი, სავალდებულო საუბრის მეორე მიზეზი იყო მოწყენილობა, რომელსაც ადამიანი განიცდიდა და მის განსაქარვებლად მიდიოდა მასზე მაღლა მდგომთან. თავისუფალი საუბრის საფუძველი კი იყო კომუნიკაბელობა თავისუფალ თუ თანაბარ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს შორის. ტარდი აკრიტიკებს სპენსერს, რომელიც მისალმების ინსტიტუტს მხოლოდ სამხედრო დესპოტიზმით ხსნიდა. ტარდის აზრით, საუბრის განვითარება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, პირველ რიგში ენის სიმდიდრეზე, რას უფრო მდიდარია და მუსიკალურია ენა, მით უფრო განაწყობს

ადამიანებს სასაუბროდ. საუბრის განვითარება დამოკიდებულია რელიგიაზეც, რომელშიც ბევრი თემა ტაბუდადებულია. საუბარს განაპირობებს პოლიტიკური მიზეზებიც. თავისუფალი საუბარი ყველა პოლიტიკური წყობილების დროს არა გვაქვს. საუბრის განვითარებას ხელს უწყობს დასვენება და თავისუფლება. საერთოდ სოციალური მოღვაწეობის ყველა სფერო ახდენს გავლენას საუბარზე. ტარდს საუბარი ესმის ფართო აზრით: უშუალო კომუნიკაციის გარდა საუბრის საშუალებანია: წიგნი, გაზეთი, ფოსტა, ტელეფონი, ტელეგრაფი. ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად, საუბრის არეალი ფართოვდება, ამავე დროს, ერთსახოვანი ხდება. საუბრის განვითარებაზე გავლენას ახდენს ეროვნებას და სახელმწიფოც: იტალიური საუბარი უმთავრესად დიპლომატიასთან არის დაკავშირებული, ფრანგული – სამეფო კარის თავაზიანობასთან, ბერძნული – სოფისტიკურ ჩხირკედელობასთან. ტარდისთვის მთავარია იმის მტკიცება, რომ საუბრის განვითარება შესაბამისობაშია მიზანძვის კანონებთან. როცა დაბალი ბაძავს მაღალს – "საუბარი ყოველთვის ასახავს ადამიანთა საქმიანობას, ამიტომ სხვადასხვა ფენები სხვადასხვა თემაზე საუბრობენ". ტარდის აზრით, საუბრით განისაზღვრება სიტყვა "საზოგადოების" წარმოშობაც, რადგან საზოგადოება გამოხატავს ურთიერთობებს. ტარდის აზრით საუბარს დიდი მნიშვნელობა აქვს ენისა და ლიტერატურის განვითარებისათვის, რელიგიური ქადაგებისათვის, პოლიტიკური თვალსაზრისის გამოსახატავად. საუბარი აახლოებს ადამიანებს და ხელს უწყობს მათ შორის იერარქიული საზღვრების წაშლას, ეკონომიკური თვალსაზრისით, ბიძგს აძლევს ღირებულებათა გაცნობიერებას, საუბრის გარეშე არ წარმოიშობა საზოგადოებრივი აზრი. ზნეობრივი თვალსაზრისით გვეხმარება ეგოიზმის გადალახვაში; ესთეტიკური თვალსაზრისით, თავაზიანობის დამკვიდრებაში. მაშასადამე, "საუბარი ძალუმად მუშაობს ცივილიზაციის სასარგებლოდ". საუბარი ერთ-ერთო ძირითადი ფაქტორია აღმოჩენათა გასავრცელებლად. ის ავითარებს მოთხოვნილებებსაც, რომლებიც განაპირობებენ სოციალური ცხოვრების მიმართულებას.

ტარდის აზრით, საზოგადოებრივი აზრის ფორმაც მიმოწერაც. ესაა საუბარი მანძილზე. მას ხელს უწყობს მოგზაურობის სიადვილე, წერის ხელოვნება და საფოსტო დაწესებულებათა ნორმალური მუშაობა. წერითმა საუბარმა შექმნა თავაზიანობის გარკვეული ნიმუშები. წერილებს წერდნენ აღმატებით ფორმაში, მიმართავდნენ ბატონობით და ხელს აწერდნენ "თქვენი მონა-მორჩილი". წერილი ვრცელდებოდა ზემოდან ქვემოთ: ჯერ მხოლოდ მეფეებს ჰყავდათ მალემსრბოლები, შემდეგ წარჩინებულებსაც, ბოლოს ფოსტის განვითარებასთან ერთად, წერილი ყველასთვის მისაწვდომი გახდა. წერილი კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაც, მასზე დიდი გავლენა მოახდინა გაზეთმა. თუ გაზეთამდე ყველანაირ აძბავს ატყობინებდნენ ერთმანეთს, შემდეგში, რაც გაზეთში იბეჭდებოდა, ის აღარ აისახებოდა წერილში. "გაზეთი საჯარო საუბარია. გაზეთი წარმოიშვა კერძო წერილისა და საუბრისაგან, შემდეგ კი გახდა მათი რეგულატორი და მკვებავი. გაზეთი დაიწყო როგორც მიმოწერის და საუბრის გახანგრძლივებული ექო და დასრულდა იმით, რომ გახდა ერთისა და მეორის ერთადერთი წყარო". ასეთია პრესის და საუბრის ტარდისეული სოციოლოგია.

ევროპაში შექმნილი ტარდის ნააზრევი უფრო ქმედითი გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ ეს გავლენა ძირითად ზოგადი ხაზებით განისაზღვრა, კერძოდ, ფსიქოლოგისტური ტენდენციით და ემპირიულ კვლევაზე ორიენტირებით. რაც შეეხება დარგობრივ სოციოლოგიურ გამოკვლევებს, ტარდის გავლენა პრესის სოციოლოგიაში უფრო ნაკლები იყო, ვიდრე დანაშაულის სოციოლოგიაში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საზოგადოებრივი აზრის პრესასთან დაკავშირებულ კვლევას, ტარდის შრომებით მიექცა ყურადღება. ტარდის ნააზრევს აკლდა ემპირიული მასალა. პრესის ემპირიული სოციოლოგია კი არ მიუცია ტარდს, არამედ სოციალურ ცხოვრებაში პრესის მნიშვნელობის განსაზღვრა. თვით ტერმინიც "პრესის სოციოლოგია" ტარდს არ ეკუთვნის. ეს ტერმინი პირველად მაქს ვებერმა გამოიყენა გერმანელ სოციოლოგთა საზოგადოების პირველ სესიაზე, სადაც ჩამოაყალიბა პრესის ფუნქციონის შესწავლის ფართო პროგრამა, სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით.

ვერც პრესის და ვერც წერილების სოციოლოგიური ანალიზი ვერ დააფუძნა ტარდმა. წერილების პირველი სოციოლოგიური ანალიზის ნიმუშია თუ მასისა და ზნანეცკის შრომა – "პოლონელი გლეხები ევროპასა და ამერიკაში 1918 – 1921 წლებში", ხოლო სოციოლოგიის ემპირიული მიმართულების დაფუძნებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ნორატმა ნაშრომით – "ემპირიული სოციოლოგია". ამერიკელებმა განავითარეს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების სოციოლოგია კონტენტ-ანალიზის და სხვა ემპირიული მეთოდების გამოყენებით. დაადგინეს პრესის, რადიოს, ტელევიზიის კომუნიკაციის შესაძლებლობანი და სოციალური დანიშნულება. ამჟამად ინფორმაციის საშუალებების სოციოლოგიური კვლევა დასავლეთში დიფენერცირებულია სამი სახის ცენტრებს შორის: პირველი, კომერციული ინსტიტუტები, მაგ. გელაპის ინსტიტუტი ამერიკაში და მისი ფილიალები ინგლისში თუ იაპონიაში, ისინი სათანადო ორგანიზაციებთან ხელშეკრულების გაფორმებით აწარმოებენ ინფორმაციის საშუალებათა და საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევას. კვლევის ცენტრების მეორე ჯგუფი თვით ინფორმაციის საშუალებების განკარგულებაშია. მათ აქვთ შესაბამისი განყოფილებანი სოციოლოგიური კვლევის საწარმოებლად; კვლევის ცენტრების მესამე ჯგუფი აკადემიური ხასიათისაა. მას ძირითადად უნივერსიტეტების სოციოლოგიური განყოფილები აწარმოებენ. ტარდის შემდეგ არსებითი ცვლილება განიცადა თვით კვლევის სფეროშიც. ამჟამად, წიგნისა და პრესის გარდა, სოციოლოგიური ანალიზის ობიექტებია: რადიო, ტელევიზორი, ვიდეომაგნიტოფონი. დაზუსტდა ინფორმაციის საშუალებათა სოციოლოგიის საგანი. კვლევა წარმოებს მრავალი მეთოდით და თითოეული მეთოდისათვის კვლევის მრავალი ფორმაა მონახული. ყველაფერ ამისგან ტარდის სოციოლოგია შორს იყო. ტარდის ძალა ისაა, რომ მან იგრძნო პრესის, და საერთოდ, ბეჭდვითი სიტყვის როლი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, მათი ურთიერთდამოკიდებულება და გზა გაუკაფა მათ კვლევას.

8. დანაშაულის ფილოსოფია და კრიმინოლოგია.

ტარდის გამოკვლევებიდან უფრო მნიშვნელოვანია დანაშაულის სოციოლოგია და ფსიქოლოგია, რომლებიც მაშინ ერთმანეთისაგან არ იყვენენ გამოყოფილი. ტარდი მსჯელობს "დანაშაულის ფილოსოფიაზე". ამ დარგში მის შრომას ასევე ეწოდება, მაგრამ საკითხთა წრე, რომელსაც ის განიხილავს, ფილოსოფიურის გარდა სოციოლოგიურიცაა, ამიტომ მართებულად აღნიშნავდა ტარდის შრომის რუსული გამოცემის რედაქტორი, რომ ეს თხზულება გააცნობს რუს მკითხველს კრიმინოლოგიაში იმ ახალი სოციოლოგიური სკოლის შეხედულებებს, რომლის მომხრეთა რიცხვს ეკუთვნოდა ტარდი. ტარდის ნააზრევს ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია იმის აღიარება, რომ კრიმინოლოგია სოციოლოგიის დარგია. "კრიმინოლოგია სხვა არაფერია, თუ არა სოციოლოგიის ნაწილი". (63, 26). ტარდის აზრით, საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონებიც, სოციალური ინდუსტრიის განვითარების მსვლელობაც ასახავს დანაშაულის დინამიკას, რადგან დანაშაული სოციალური ინდუსტრიის ნაწილია. "როგორც ყველა სხვა, დანაშაულიც სოციალური მოვლენაა, მაგრამ, ამავე დროს, ანტი-სოციალურია, როგორც კიბო, რომელიც მონაწილეობს ორგანიზმის სიცოცხლეში, მაგრამ ხელს უწყობს მის სიკვდილს". (63, 317). მტკიცება, რომ კრიმინოლოგია სოციოლოგიის ნაწილია, ტარდმა ისესხა ანთროპოსოციოლოგიებისაგან, თუმცა ყველა დანარჩენ საკითხში მათთან განხეთქილება ჰქონდა. "არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ გავყვებით ახალი სკოლის სამართლიან მოთხოვნას, რომ "კრიმინოლოგია" (ასე ეწოდება გარო ფალოს უკანასკნელ შრომას) შედის სოციოლოგიაში, როგორც კერძო შემთხვევა და ამ თვალსაზრისით ავსებს პოლიტეკონომიას, რომლის ჰიპოსტასია". (62, 10). კრიმინოლოგიის სოციოლოგიური პრობლემების განხილვისას ტარდი თავისი კონცეფციის ერთგული რჩება, ის უარყოფს დანაშაულის ბიოლოგიურ ახსნას და დანაშაულს აფუძნებს სოციალურ ფაქტორებზე. მისთვის ამოსავალია საზოგადოებრივი ადამიანი და არა ბიოლოგიური არსება, რომელსაც ლომბროზო მიაწერდა დანაშაულისადმი ბუნებრივ მიდრეკილებას. ტარდი თავის დამნაშავე ყალიბდება მიბადვისა და მაგალითის საფუძველზე. დამნაშავე არ იბადება, ის დამნაშავედ იქცევა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გავლენით. ტარდი ფიქრობს, რომ დანაშაულებრივი ტიპის და დამნაშავეს შესწავლისათვის აუცილებელია მრავალ დისციპლინათა ღონისძიების გაერთიანება – იქნება ეს სტატისტიკა, ანთროპოლოგია თუ სხვა. ეს ნიშნავს, რომ დანაშაული უნდა აიხსნას უფრო სოციალური და ფსიქოლოგიური მიზეზებით, ვიდრე ბიოლოგიურით, ხოლო დანაშაულის ჩახშობის გზები ვეძიოთ უფრო მორალურ სფეროში, ვიდრე ფიზიკურში". ტარდი დიფერენცირებულად განიხილავს ინდივიდისა და ბრბოს დანაშაულს, ასევე მათ პასუხისმგებლობასაც. მისი აზრით, "ყველაფერი, რაც გენიალურია, ინდივიდუალურია, დანაშაულის საქმეშიც კი". ეს ნიშნავს, რომ დამნაშავეთა შორისაც არიან გენიოსები, რომელთაც ბაძავს ბრბო. მკვლელობანი, თუ ძარცვის ყველაზე რაფინირებული ფორმები, მათი საქმიანობის შედეგია. ბრბო ყოველთვის გარკვეული მიზნებითაა დაკავებული, ისე, როგორც კორპორაცია: ორივეში მონაწილეობენ

მოდღვარნი და დასამოდღვრნი. მათ პასუხისმგებლობაც განსხვავებული ეკისრებათ. ტარდი კითხვს – რატომ ხორციელდება დანაშაულებრივი აზრი და რა ძალა ავრცელებს მას? – ასე უპასუხებს: წმინდა სოციალური გავლენა ბუნებრივ მიდრეკილებაზე უფრო ძლიერია, რადგან ბუნებრივ მიდრეკილებასაც ძალა აქვს, ამიტომ ტარდი მთლიანად არ უარყოფს ლომბროზოს ანთროპომორფიზმს. ტარდისთვის მთავარია გაანალიზოს ყოველი სოციალური მოქმედების: აჯანყების, რევოლუციის თუ სხვა ძალისმიერი ფორმათა ნგრევიტი და ამორალური ხასიათი და აჩვენოს, რომ მას განაპირობებს შთაგონება და მიბაძვა, რომ ბრბოც და სექტაც ემყარება მასობრივი მოქმედების უპასუხისმგებლობას. ამ აზრით ტარდი ერთმანეთის გვერდით აყენებს კროპოტკინს და მარქსს: "კარლ მარქსიდან კროპოტკინამდე და კროპოტკინიდან რავაშოვამდე დიდი მანძილია, მაგრამ ყველანი კავშირში არიან ერთმანეთთან, თუმცა პირველი განთქმული ეკონომისტია". ამ დასკვნამდე ტარდი მიიყვანა სწორედ ინდივიდუალისტურმა მსოფლმხედველობამ და მასობრივი მოქმედების ყველა ფორმისადმი ალერგიამ. ტარდის დანაშაულის სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი დამსახურებაა დანაშაულის ადამიანის ბიოლოგიური თვისებებით ახსნის წინააღმდეგ გალაშქრება. ლომბროზო, ფერი, ტოპინარი და სხვა ანთროპოსოციოლოგიის (კრიმინალური ანთროპოლოგიის ან სისხლის სამართლის სოციოლოგიის, ასეც ეწოდებოდა მათ თეორიებს,) წარმომადგენლები დანაშაულის ახსნაში ცდილობდნენ მოემყდნათ ბიოლოგიური სპეციფიკა – თავის ქალის აგებულება, ცხვირის მოყვანილობა, ყურების სიდიდე, სახის მოხაზულობა, ხელების სიგრძე და მრავალი სხვა ნიშანი. ამ მიზნით ემპირიულად სწავლობდნენ დამნაშავეთა ფიზიკურ აგებულებას, რათა ცდისეული ახსნა მოენახათ ძირითადი პრინციპისათვის, რომ ადამიანი დამნაშავედ იბადება და ეს ვლინდება ბიოლოგიურ ნიშნებში, იქნება ანთროპოლოგიური, რასობრივი, თუ ბიოლოგიური, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში დამნაშავეთა თავის ქალის აგებულება სხვადასხვაგვარია. ვერ მონახეს არადანაშაულებრივი ტიპების საერთო ნიშნები, რითაც ისინი განსხვავებული იქნებოდნენ დამნაშავეებისაგან. ბოლოს ლომბროზო ამტკიცებს, რომ დამნაშავეები ეპილეპტიკები არიან, მაგრამ ემპირიულად ესეც არ დადასტურდა. ტარდი მიმოიხილავს ბიოლოგისტების ამ წარუმატებელ და უიმედო ღონისძიებებს და აჩვენებს, რომ დანაშაული ძირითადად გარემოს შედეგია. მისი აზრით, ადამიანის ტვინს გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა გადამწყვეტი. სიგიჟის კლასიკური ფორმები: მკვლელობის მანია, კლექტომანია, ეროტომანია, შეესაბამებიან დანაშაულის სხვადასხვა მუდმივ ფორმებს: მკვლელობას, ქურდობას, ცეცხლის წაკიდებას, გაუპატიურებას და მაინც ეს არ არის მათ შორის შინაგანი კავშირის მაჩვენებელი. დიდი-დიდი, რისი დამტკიცებაც შეიძლება, ამბობს ტარდი, არის ის, რომ განვასხვავოთ მემკვიდრეობითი დამნაშავენი და დამნაშავენი აღზრდის შედეგად. ტარდი განიხილავს დამნაშავეს ტიპს, დანაშაულს და დანაშაულის სტატისტიკას როგორც წარსულში, ისე მომავლის თვალსაზრისით. ტარდის აზრით, დამნაშავე არც დეგენერატია, არც ეპილეფტიკი და არც დამნაშავედ შობილი, რაც შეეხება ადამიანის ტვინს, დანაშაულის ჩამოყალიბებაში მისი როლი განისაზღვრება წარმოდგენათა და შთაბეჭდილებათა გამტარუნარიანობით და საზოგადოდ ადამიანის ხასიათი,

სურვილები, მიდრეკილებები გარემოს ყველა ფაქტორზე და მოკიდებული, დაწყებული წელიწადის დროით და დამთავრებული იმ ადამიანებით, რომელთა წრეშიც ვართ. ტარდი თავისებურად უსწრებს ფროიდის მოსაზრებებს და აღნიშნავს, რომ ბავშვობაში მიყენებული წყენა, დამცირება მომწიფებულობისას ადამიანში აღძრავს სიძულვილს და ბოროტი ქცევის სურვილს. ხოლო მას შემდეგ, რაც ერთხელ ჩადენილია დანაშაული, ჩნდება მისი განმეორების მოთხოვნილება. დამნაშავესა, მის წინაპრებსა და მემკვიდრეებს შორის არის რაღაც კავშირი, მაგრამ ეს გენეტიკური არაა, არამედ წმინდა სოციალური. სოციალურ ცხოვრებაში ორი მდგომარეობაა შესაძლებელი. წესრიგი ანუ სოციალური იგივეობა და უწესრიგობა, ანუ სიგიჟე, მათ შორის ზღვარი ყოველთვის არაა შესამჩნევი, წესრიგი უწესრიგობაშიც ავლენს თავის თავს. მდგომარეობას განვსაზღვრავთ იმის მიხედვით, რომელი ჭარბობს, ტარდის აზრით, საზოგადოებაში დანაშაულს დიდი ადგილი უკავია და ის უნდა ვეძებოთ მართო მკვლევებსა და ქურდებს შორის. დანაშაულია, როცა ერთი ადამიანი ატყუებს მეორეს, როცა ერთი მდიდრდება მეორის ხარჯზე, თუნდაც ამას კანონიერი სარჩული ჰქონდეს. თანამედროვე საზოგადოება დანაშაულის დიდ სპექტრს აჩვენებს ისე, რომ "თუ როდესმე ჩვენი საზოგადოებიდან დანაშაულის ხე ყველა მისი ფესვით ამოძირკვეული იქნებოდა, საზოგადოებაში დარჩებოდა უზარმაზარი უფსკრული". იმის შესასწავლად, თუ როგორ ყალიბდება დამნაშავე, უნდა გავაანალიზოთ განცდები, რომლებიც ბავშვობიდან ეძლევა ადამიანს. ადამიანი შეიძლება დაიბადოს უკუღმართი, მაგრამ დამნაშავე ის მხოლოდ შემდეგ ხდება. მკვლელის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ადამიანის უსაზღვრო სიამყესთან, სიძულვილთან, ბოროტებასთან, სიზარმაცესთან, როცა მისი გული დახურულია სათნო გრძნობებისათვის და მხოლოდ ძლიერ შეგრძნებებს უღებს კარებს. თუ ის ბავშვობიდან იტანჯება, ეჩვევა ცემას, მკაცრ მოპყრობას, გულგრილია ბოროტების მიმართ, უმოწყალო და შურისმგებელია. ტარდისთვის მთავარია არა დამნაშავეს ფიზიოგნომიკა, არამედ ხასიათი, რომელიც აღზრდის შედეგია. დამნაშავეს ფსიქოლოგია ისეთია, რომ თუ ის ერთხელ ჩაიდენს დანაშაულს, ეჩვევა მას და სინდისის ქენჯნას არ განიცდის. ამიტომ ერთი შეცდომა საკმარისია დამნაშავეს ჩამოყალიბებისათვის. ტარდი არ ეთანხმება იმათ, ვინც მხოლოდ დამნაშავეს დასჯას მოითხოვს. საჭიროა დანაშაულის განხილვაც. ტარდი იძლევა დამნაშავეთა კლასიფიკაციას და მათ ჰყოფს არა ვნებებისა და ტემპერამენტის მიხედვით, არამედ კლასობრივ-პროფესიული და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დამნაშავეები არიან შემთხვევითი და პროფესიული. ეს სოციალური თვალსაზრისის გამოხატულებაა. "ჩვენი ბუნებრივი თვისებები მასალაა, რომლის ფორმა ჩამოისხმება სოციალური ნიმუშის მიხედვით, ამიტომ ყურადღება უნდა მივაქციოთ სწორედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მსგავსების ნიშნებს, რომლებიც საერთო აქვთ ერთი კლასის, პროფესიის და გარემოს ადამიანებს, რათა ერთ ჯგუფში მოვათავსოთ მართლაც მსგავსი დამნაშავენი". ასეთსავე კლასიფიკაციას უკეთებს ის დანაშაულს, მისთვის მთავარია იმის მტკიცება, რომ "დამნაშავეს მოვლენაში მთავარ როლს ასრულებენ სოციალური ფაქტორები", რომ დამნაშავე ყოველთვის ბაძავს, მაშინაც, როდესაც ორიგინალურ ხერხს იგონებს. ის ექვემდებარება მოდას, ამიტომ დამნაშავე ამ გზით ყოველთვის გამოდის როგორც საზოგადოებრივი არსება. ტარდი აანალიზებს

მაფიას და აკრიტიკებს სოციალისტებს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ მაფიის წარმოშობის წყარო გლეხობის სიღარიბეა. სინამდვილეში აქ ფსიქოლოგიურ ფაქტორთა სიმრავლე იყრის თავს – სიამაყით დაწყებული, გარკვეულ წრეებში მაფიისადმი პატივისცემით დამთავრებული. განსაკუთრებულ როლს ასრულებს იარაღის კულტი, რასაც გამოხატავს სიცილიელთა გამოთქმა: "ცოლის და იარაღის განათხოვრება არ შეიძლება". ტარდი ფიქრობს, რომ მაფია თანდათან ქრება მთავრობის ენერგიულ ღონისძიებათა შედეგად. სამწუხაროდ, ტარდის ეს პროგნოზი არ გამართლდა. სიცილიური მაფია გახდა მსოფლიო მოვლენა და დანასაულებრივი ბიზნესის ფორმათა სიმრავლის კონცენტრატი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტარდი წერდა: მაფია სოფლის დანაშაულია და სოფლად ქრება, სამაგიეროდ ქალაქში იზრდება. არ გამართლდა ტარდის მტკიცება იმის შესახებაც, რომ ცივილიზაცია მსხვილ დანაშაულს შეუძლებელს ხდის და ცვლის წვრილი დანაშაულით. მოხდა პირიქით, სამრეწველო სინდიკატების მსგავსად, დანაშაულებრივი სინდიკატებიც გამსხვილდა. ტარდის მოძღვრებაში დანაშაულის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბიოლოგიური და გეოგრაფიული ტეორიების კრიტიკა. მაშინაც, როდესაც ანთროპოსოციოლოგიის წარმომადგენლები ბიოლოგიურის გარდა სოციალურსაც აღიარებენ დანაშაულის მიზეზად. ტარდი მათ მაინც არ ეთანხმება, რადგან მათთვის ფიზიკურ-ანთროპოლოგიური და სოციალური ერთი და იმავე მნიშვნელობისაა. მაშინ, როდესაც ტარდისთვის სოციალური გადამწყვეტია: ტარდი აკრიტიკებს სოციალისტებსაც, სოციალურის ეკონომიკურთან გაიგივების გამო. სოციალურ პროცესში ფიზიკური, ბიოლოგიური და სოციალური მიზეზების განმსაზღვრელად ტარდი მიმართავს სტატისტიკას – იქნება ეს დანაშაულის თუ ქორწინების სტატისტიკა. ტარდი ებრძვის თეორიებს, რომლებიც სოციალურში უარყოფენ კანონზომიერებას და მის განმსაზღვრელად თვლიან პირად ინიციატივას და თავისუფალ გადაწყვეტილებას. მისი აზრით, ორივეს უკან იმალება ფიზიკური და სოციალური მიზეზები. სტატისტიკის მონაცემებში მერყეობა გამოწვეულია იმით, რა ბატონობს საზოგადოებაში, ტრადიცია თუ მოდა, – ორივე განსაზღვრულია მიზამდვით, ასე, რომ, მიზამდვა არის ყველა სოციალური მოვლენის უნივერსალური გასაღები. ტარდი სოციალურში ათავსებს ეკონომიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ, ოჯახურ ურთიერთობებს. სოციალურის გვერდით ის ანგარიშს უწევს ფიზიკურს და ბიოლოგიურს. დანაშაულთა მიზეზებს ის ყოფს სამ ფაქტორად: სოციალური, ბიოლოგიური, ფიზიკური. ტარდი უარყოფს გეოგრაფიულ დეტერმინიზმს დანაშაულის ახსნაში. მისი აზრით, დანაშაული არაა დამოკიდებული იმაზე, ადამიანები ჩრდილოელები არიან თუ სამხრეთელები, დღე ხანგრძლივია თუ ხანმოკლე. თუ ხანგრძლივი დღის განმავლობაში დანაშაულის სტატისტიკა მეტია, ეს იმის შედეგია, რომ ადამიანებს მეტი სოციალური ურთიერთობა აქვთ, შესაბამისად მეტი სოციალური კონფლიქტებია შესაძლებელი. დანაშაული უფრო მეტად დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე. რაც უფრო დიდია ქალაქის მოსახლეობა, მით უფრო მეტი დანაშაული ხდება. ზამტარში თუ მეტია დანაშაული, ეს სიცივის გამო კი არ ხდება, არამედ იმის გამო, რომ ზამთარში სიღატაკე უფრო იჩენს თავს და ადამიანებს დანაშაულისკენ უბიძგებს. ტარდის აზრით, სოციალურ

ფაქტორებში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის მოთხოვნილებებს იმდენად, რომ "ხელოვნურად შექმნილ მოთხოვნილებათა ზრდა და სწრაფვა მათი დაკმაყოფილებისაკენ უნდა ჩაითვალოს დანაშაულის ერთერთ უმთავრეს მიზეზად". ტარდი ასევე წარმატებით უარყოფს დანაშაულის კავშირს რასასთან. სქესობრივი განსხვავება უფრო ახდენს გავლენას დანაშაულზე, ვიდრე რასა და კლიმატი. ტარდი ცდილობს, ახსნას საზოგადოების წარმოშობა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ საკითხში ოჯახსა და ბრბოს. ოჯახურ საწყისზე და ტრადიციებზეა აგებული სოფლის საზოგადოება. ბრბოს საწყისსა და მოდაზეა აგებული ქალაქის საზოგადოება. ეს განაპირობებს განსხვავებას ქალაქისა და სოფლის დანაშაულს შორის. ტარდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქალაქის დანაშაულის შესწავლას, რადგან ფიქრობს, რომ მის საფუძველზე განვითარდება მომავალში სახელმწიფოებრივი დანასაულებანიც. ურბანიზაცია მისი აზრით დანაშაულის ზრდის დიდი ტენდენციის მქონე იქნება. ტარდი ანალიზებს მიმართებას დანაშაულსა და ცივილიზაციას შორის. ამის წინა პირობად მიაჩნია შესაბამისი ცნებების განსაზღვრება. "სანამ გადავწყვეტდეთ ცივილიზაციის მსვლელობასა და დანაშაულის ცვლილებას შორის მიმართების პრობლემას, უნდა განვსაზღვროთ ის ზუსტად". დანაშაული და ცივილიზაცია მას მიაჩნია მიმბაძველობის გავრცელებად. უწყობს თუ არა ცივილიზაცია დანასაულს ხელს, ამის დასადგენად უნდა გაანალიზდეს ცივილიზაციის კომპონენტები: განათლება, ოჯახური და საეკლესიო რიტუალები, პოლიტიკური იდეები, ამხანაგობის გრძნობები. სამრეწველო საქმიანობის გავრცელებაა ცივილიზაცია და საკითხი ისმის, ამ კომპონენტთაგან რომელი უწყობს დანაშაულს ხელს და რომელი უშლის. საკითხის ასეთი დაყენება იმის მაჩვენებელია, რომ "დანაშაული განსაკუთრებული სახის სოციალური მოვლენაა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ისეთივე სოციალური, როგორც ყველა სხვა. დანაშაული საზოგადოების ხის მუქთახორული ტოტია, მაგრამ როგორც ყველა სხვა ტოტი, იკვებება საერთო წვენით, ექვემდებარება საერთო კანონებს". ეს ნიშნავს, რომ დანაშაული ექვემდებარება ძირითადი სოციოლოგიური ფაქტის, მიბაძვის კანონს. ე.ი. ვრცელდება ზემოდან წვემით, რომ დანაშაული იცვლება და ვითარდება მოდის და მიბაძვის წყალობით, საერთოდ ცივილიზაციის ყველა მოვლენა და მათ შორის დანაშაულიც გადადის ტრადიციიდან მოდაში, და პირიქით. ყველა საზოგადოებრივი მოვლენა იწყებს არსებობას როგორც მოდა, შემდეგ იქცევა ტრადიციად, მოდა კი გარედან შემოდის. ტარდის აზრით, რომში არსებობდა განცხრომის სიმბოლო, მამაკაცის ასოს გამოსახულების დაკიდება კისერზე, რომელიც რომაელებმა სხვებისაგან ისესხეს და გაიხადეს ტრადიციად. ტარდისეული მთელი ეს ანალიზი ემსახურება იმის დასაბუტებას, რომ ადამიანი არ არის დამნაშავე ტიპი, არავინ იხადება მკვლელად და ქურდად, რომ ადამიანს ასეთად ხდის სოციალური ცხოვრება. "დანაშაულის წარმოშობა პირველ რიგში ისტორიულია, ხოლო მისი ახსნა სოციალური".

ტარდის სოციალური პოზიციიდან გამომდინარე, ცივილიზაციასა და დანაშაულს შორის მიმართება განსხვავებულია დანაშაულსა და ომებს, დანაშაულსა და რევოლუციებს შორის მიმართებისაგან. ტარდის აზრით, ცივილიზაცია აწესრიგებს და ამტკიცებს რწმენას, მასში უკანა პლანზე იწევს სურვილები, მაშინ როდესაც ომები და

რევოლუცია დემოკრატიზაციის და უწყესრიგობის წყაროა, შესაბამისად დანაშაულის. ტარდი ცდილობს, გაანალიზოს დანაშაულის სოციალური მიზეზები, კრიმინოლოგია დააყენოს მეცნიერების გზაზე, ამ თვალსაზრისით განიხილავს დანაშაულს და სასჯელს, მათ მომავალს. სიმართლეს და სიცრუეს და იმ ოქროს ხანას, რომელშიც ამოიფხვრება დანაშაული და სიცრუე. ამაში ვლინდება ტარდის თვალსაზრისის უტოპიურობა.

თანამედროვე დანაშაულის სოციოლოგიის თვალსაზრისით, ტარდის მოძღვრება კრიმინოლოგიის გუშინდელი დღეა, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აწმყო წარსულის მხრებზე დგას. დანაშაულის სოციოლოგია სამართლის სოციოლოგიის გვერდით თანამედროვე სოციოლოგიური თეორიის განუყოფელი ნაწილია, რომელიც გამოეყო სამართლის ფილოსოფიას. გაჩნდა დანაშაულის ახალი მიზეზები და ახალი ფორმები, ასევე მათი კვლევის ახალი მიმართულებანი. დღეს არქაულადაა მიჩნეული დანაშაულის დაკავშირება ორგანულ თუ ფიზიოლოგიურ თვისებებთან. როგორც რობერტ მაკაივერი წერს: "რამდენადაც დანაშაულს, როგორც სოციალური მოქმედების კატეგორიას, არა აქვს რაიმე მისთვის ორგანულად დამახასიათებელი უნივერსალური თვისება და იმ პირთა მრავალფეროვნებაში, რომლებიც დანაშაულისათვის არიან დასჯილ, ვერ ვპოვებთ რომელიმე ფსიქოლოგიურ ან ფიზიოლოგიურ ტიპს, რაიმე ნიშანს, რომელიც მათ გამოარჩევდა ყველა სხვა ადამიანთაგან, დანაშაულის ჩამდენი შეიძლება იყოს მანიაკი ან გენიოსი, გაიძვერა ან პატრიოტი, უსინდისო ან სინდისიანი, ექსპლოატატორი ან ექსპლოატირებული, დამნაშავის სახის განსაზღვრის ყველა ცდამ მარცხი განიცადა". ავტორის აზრით, ასევე წარუმატებელია დამნაშავის განსაკუთრებული ინტელექტის ძიება, ისევე როგორც მისი რასობრივი სპეციფიკის. ბერნარდ ლანდერმა ბალტიმორის და ჩიკაგოს დანაშაულთა ანალიზის საფუძველზე აჩვენა, რომ "ზანგებს შორის დელინკვენტური ქცევა რასის, როგორც ასეთის, გავლენის ან ფუნქციის შედეგი კი არაა, არამედ სოციალური არამყარობის"

უფრო საფუძვლიანად ამ თვალსაზრისს ავითარებს გაი ჯონსონი. მისი აზრით, "საკითხისადმი ნაყოფიერი მიდგომა, როგორც უნდა განსხვავდებოდეს სოციალური ჯგუფები დანაშაულთა ხასიათით და განაწილებით, იმით გამოიხატება, რომ მოხდება მათ შორის არსებულ სოციალურ ურთიერთობათა და მათი სოციალური გარემოსათვის დამახასიათებელ თვისებურებათა ანალიზი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზანგებში დანაშაულის ძირითადი მიზეზები იგივეა, რაც ყველა სხვა ჯგუფში და რომ რასას თავისთავად არ შეუძლია აგვიხსნას არსებითი განსხვავება ჯგუფის წარმომადგენელთა დანაშაულებრივ ქცევაში. ჩვენ ვმუშაობთ, რომ ზანგი თეთრკანიანისაგან შეიძლება განსხვავდებოდეს ტემპერამენტით, ან ფსიქიკით, მაგრამ, ვფიქრობთ, წარმოსახვის ვერავითარი მცდელობა ვერ გვადიარებინებს ამ ფაქტორს დანაშაულის მასშტაბის ან ხასიათის ძირითად დეტერმინანტად".

თუ ტარდის ეპოქაში ეკონომიკურ მიზეზებზე ზოგადად იყო ლაპარაკი, თანამედროვე დანაშაულის სოციოლოგიაში ეკონომიკური მიზეზები დიფერენცირებულია და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა უმუშევრობამ, რომელიც ტარდთან საერთოდ არ ფიგურირებდა. თანამედროვე მოაზროვნენი დიდ ადგილს უთმობენ უმუშევრობას, როგორც დელინკვენტური ქცევის მიზეზს როგორც მოზრდილებთან, ასევე

ახალგაზრდებთან. გაჩნდა ახალი სახის დანაშაულებანი, რომლებიც აისახა თანამედროვე კრიმინოლოგიაში. ერთ-ერთი მათგანია ე.წ. თეთრსაყელოიანთა დანაშაული. ამერიკელმა სოციოლოგმა ე. სატერლენდმა ეს ტერმინი პირველად გამოიყენა 1939 წელს, ხოლო 10 წლის შემდეგ მის შესახებ შრომაც დაწერა, სადაც მას განსაზღვრავდა, როგორც ისეთ "დანაშაულს, რომელსაც სჩადიან მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანები, თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას". ამით, როგორც აღნიშნავენ, კრიმინოლოგიის ისტორიაში პირველად, დანაშაული გატანილ იქნა დამალ სოციალურ ფენათა სამყაროდან და შეეხო ელიტას. სატერლენდის დამსახურებაა, რომ მან დასვა საკითხი იმათი დანაშაულის შესახებ, ვინც ბიზნესის, როგორც ეკონომიკური მოღვაწეობის სფეროშია ჩართული. ადრე ეს არ შედიოდა კრიმინოლოგიის თვალსაწიერში, ამჟამად კი არსებობს და ვითარდება.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ თანამედროვე კრიმინოლოგიას საქმე აქვს დანაშაულთან, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის მაქინაციებთან, შემოსავლის დაფარვით დაწყებული ბიზნესის არაკანონიერი საქმიანობით დამთავრებული, იქნება ეს ანტიტრესტულ კანონთა დარღვევა, ყალბი რეკლამის კანონის, თუ საპატენტო და საავტორო უფლებათა დარღვევა, რომელთაც ტარდის ეპოქა საერთოდ არ იცნობდა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ნარკომანიაც. თანამედროვე დანაშაულის სოციოლოგია მრავალი მიმართულებით განვითარდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მან გადაწყვიტა ყველა პრობლემა, რომელიც წარსულში იდგა. დღესაც აქტუალურია ტარდის მიერ დამნაშავეს შესახებ დასმული საკითხი. პოლ პაპენი სტატიაში "ვინ არის დამნაშავე?" წერს: "რა არის დანაშაული? როგორც იურისტი სოციოლოგი ვთვლი, რომ ამ მნიშვნელოვანი ცნების განსაზღვრებაში არსებული არრეულობა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ის განსაზღვრავს კრიმინოლოგიის საგანს, ეს საგანგაშოა. კრიმინოლოგი, რომელიც ცდილობს, თავისი წვლილი შეიტანოს მეცნიერების ძირითად დებულებათა ფორმირებაში, ვარდება სიტუაციაში, რომლის ორაზროვნება განუწყვეტლივ იზრდება". დავა, რომელიც მიმდინარეობს ამერიკელ სოციოლოგებს შორის საკითხზე – რა უნდა ჩაითვალოს კრიმინოლოგიის საგნად, დანაშაული, როგორც კანონსაწინააღმდეგო მოქმედება თუ მოქმედება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამართალში, როგორც დასჯადი, არ არის შემთხვევითი. ყოველ შემთხვევაში დღეს სოციოლოგთა ნაწილი კრიმინოლოგიის საგნად აცხადებს დანაშაულს, ნაწილი კი დელინკვენტურ ქცევას. ეს უკანასკნელი კი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დანაშაული, რადგან გულისხმობს "სამართლის დარღვევის ფსიქოლოგიურ ტენდენციას".

ავტორთა ნაწილი მოითხოვს, კრიმინოლოგია განთავისუფლდეს სისხლის სამართლის კანონის სფეროთი შემოფარგულებიდან და განიხილოს ადამიანის ქცევის ნორმიდან ყოველგვარი გადახრა, რასაც კრიმინოლოგია მთლიანად არ ითვალისწინებს. ამ თვალსაზრისის წარმომადგენელი ტორსტენ სელინი ასე განსაზღვრავს კრიმინოლოგიის ამოცანებს: "იმის შესწავლა, თუ როგორ ვითარდება ქცევის ნორმები, მათი ერთმანეთთან და კულტურის სხვა ელემენტებთან თანაფარდობა, ნორმათა დარღვევაში ცვლილებათა და განსხვავებათა შემეცნება, ასევე ასეთ დარღვევათა

მიმართება კულტურის სხვა მოვლენებისადმი – ესაა ის უდავო საკითხები, რომლებიც განათლებით და მეცნიერულ ინტერესთა წრით სოციოლოგს შეუძლია განიხილოს, როგორც თავისი ობიექტი".

როგორც ვხედავთ, დანაშაულის სოციოლოგია დღეს უფრო პრობლემატურია, ვიდრე ტარდის დროს იყო.

ტარდის თეორიაში დარგობრივ-სოციოლოგიური კვლევის სხვა ნიმუშებიცაა, აღნიშვნის ღირსია ოჯახის და ხელოვნების სოციოლოგია. ჩვენ მათზე არ შევჩერდით.